 უხილი I; II (ნა დიდნი) IV اوخیلی  
 უხილობა II (ვერ დანახვა) نادیدن

ფ

ფერი III—4, 3 رنگ  
 ფილასოფოს[ი] XI—1, 3 فیلسوف  
 ფიხი III—4, 4 پیخ ('ფიე')  
 [ფრენა] ფრინვენი I—12, 2 در پروازاند  
 ფრჩხილი III—4, 3; III—6, 3 ناخن  
 ფუი IV—2, 4 تف

ძ

ქალაღდი X—2, 2 کاغذ  
 ქება III—9, 4 مدح VI—2, 2 حمد V—2, 2 صفت  
 ქებისა შახსება VI  
 ქვა XII—2, 4 سنگ  
 ქიშ XIV—2, 2  
 [ქმნა] ქნა I—11, 1; I—1, 1 کرد  
 ქუეყანა I; I—1, 2 (‘მიწა’) X—3, 1 جهان

ღ

- ღამე I—3, 1; I—4, 1 شب  
 ღატაგი II—3, 2 برهنه  
 [ღვრა] ღვარა I—3, 2 ريخت  
 ღიმ ღიმს I—4, 3 تبسم  
 ღთი I—6, 3; I—7, 3 الله تعالى ('მიღალი ღმერთი'), I—2, 1 I—  
 11, 2] خدای

ყ

- ყია VIII—1, 4 گردن  
 ყმა III—4, 4 طفل  
 ყოვლი I; I—1, 2; I—5, 1 جميع I—6, 2 همه  
 ყოვლთამყრობი III—8, 1 بوجود گردنده ('გამჩენი')  
 ყოფა I—7, 1 احوالات  
 [ყოფნა] იყუნენ I—6, 3 იყოს I—7, 3 باشد  
 ყური III—9, 2 گوش

შ

- შაექნა X—2, 2 روی داد ('მოვიდა, მოხდა')  
 შავი III—4, 1 سپاه  
 შავშემოსე II—3, 3 سپاه پوش  
 შაკაშმული XII—5, 4  
 შარ XI—1, 4 پار ('შარშან')  
 შაჰ-აბასი X; X—1, 4 شاه عباس  
 შაჰრუნი XIV—2, 3 ('ქადრაკის ფიგურა ეტლი')  
 [შეკაშვა] შეიკაშვა I—3, 1 مسلح کرد ('აღჭურვა')  
 შეკაშმული VIII—2, 4 مسلح گردیده ('აღჭურვილი')  
 შემვლინელი III—8, 3 بخشاینده ('მოწყალე')  
 შემზამანე XV  
 შემკობილი VIII گردانیده ('აღჭურვილი')  
 შემოქმედი II صاحب اراده ('მბრძანებელი'), III—8, 1  
 შემოსე II—3, 2 پوشاننده ('ვინც აცმევს')  
 [შემოკრა] შემოიკარ IV—2, 2 فرو کوب



შეშლით III—3, 1 گم کرده (‘დაიკარგული’)

[შეცვლა] არ შაიცვალოს I—7, 4 گمراه نشود (‘არ დაიკარგოს’)

[შეხვეწნა] შეეხვეწა II—1, 3 مناجات کرد

[შეჰყრა] შეჰყარეთ IV—1, 3 ترکیب دادیت (sic)

შვიდ[ი...ზეცა] VII آسمان هفت طبقه (‘შვიდ სართულიანი ზეცა’)

შვილთაშვილი IX فرزند از فرزندگان

შვილიშვილი IX—1, 1 فرزند فرزند

შლა I—3, 4 پراگندگی (‘გაფანტულობა’)

შლილი XIV—1, 3

შუა დღე I—5, 1; I—5, 3 نیم روز

შუქი X—3, 4 پرتو

### ჩ

[ჩენა] აჩინა I—9, 1 پدید کرد

### ც

ცეცხლი I—5, 4; II—4, 4 آتش

[ცვალემა] იცვალოს I—7, 2 کند تغییر

ცვარი XIV—1, 2

ცისკარი I—4, 3 صبح XIV—1, 2

ცნება V 2, 3 شناسایی

I ცნობა I; სცან I—9, 4; I—10, 3 شناخت حاصل I—11, 2

کردن

II ცნობა I—3, 1; II—4, 4 معرفت (‘ცოდნა, მეცნიერება’), I—

11, 2 هوش (‘გონი’)

ცოდვა III—8, 3 گناه

ცოცხალი III—9, 1 حی

ცხენი VII; VII—1, 3 تگاور (‘მალი ცხენი’) VIII—2, 3

(‘ფიცხი ცხენი’)

### ძ

ძაფი X—2, 1 رشته

ძალი II—2, 1 جد (‘ცდა, მონღომება’)

ძალშეუწევარი VIII از بیقدرت حقیر

ძალშეწყული XV

ძე III—14, 2 پسر (‘ვაჟიშვილი’) III—14, 4 فرزند (‘შვილი’)

ძმა VIII—5, 3 برادر

ფ

- წამალი III—11, 1 دارو III—11, 3 شربت درمان ('წამლის შარბათი')  
 წეხი I—11, 3 بنابر عارف ('მცოდნის შესაბამისად')  
 წიგნი III—10, 1; III—12, 4 كتاب  
 წითელი XIV—1, 1  
 წინა I—8, 3; I—8, 4 پیش  
 წინაშე I—6, 3 در پیش  
 წინწალი I—5, 4 شرار  
 წინწარმეტყუელი I: I—1, 1 پیغمبر  
 წმიდა III—14, 3 پاک VIII—5, 2 طاهر  
 წული VIII—5, 3 فرزند  
 წურილი III—4, 4 خورد  
 წყალეზა იხ. წყაღობა  
 წყალი VII—6, 4: XII—3, 3 آب  
 წყაღობა II—3, 2; III—6, 1 لطف V—2, 4  
 წყარო VI—2, 3; VII—6, 3 چشمه

ჟ

- ჟა I—4, 1 چاه  
 ჟღარაკი X—3, 1 شطرنج XIV—2, 1  
 ჟეშმარიტად III البته بطریق اولی  
 ჟირი III—11, 1 درد; IX—1, 3 مشقت ('სიძნელე, წინააღმდეგობა')  
 ჟკვა I; I—3, 1 عقل III—5, 1 هوش  
 ჟკვის მჯედარი VIII—1, 1 توسن عقل  
 [ჟოჰმანი] ვიჟოჰმანეთ III—8, 3 تفکر نمودیم ('ჩაფიქრდით')

ხ

- ხალიფა ხულოთან X—4, 3; XI خلیفه سلطان (შეპ. 'ახვასის ვეზირი')  
 I ხანა I—5, 2 زمان ('დრო') (შდრ. ხანა)  
 II ხანა I—5, 3 خانه ('სახლი')  
 ხანი I—2, 1 زمان (შდრ. ხანა)  
 ხარაზმი I—3, 4 خوارزم ('ხორეზმი')  
 I ხელ[ი] I—11, 1 دست  
 ხელი I—10, 4 از عقل بری ('გეიცი'): XIV—2, 4

ხელშეწერილი XIII—1, 3

ხელ-ფერხი I—11, 1 دست و پا

ხვევა X—2, 2 کنار گرفتن

ხვეწნა III—12, 2

ხილი III—15, 4 نېال ('ნერგი')

ხორამზე I—4, 3 خرم آفتاب ('საამო მზე')

ხორასანი VIII—5, 4; IX خراسان

[ხსენება] ვახსენით III—6, 4 بخوانید VI—2, 3  
(‘წაიკითხეთ, ახსენეთ’);

ხსნა II—4, 3; III—10, 4 نجات

ხული I—6, 3 کلبه فقير ('ღარიბის ქონი')

ჰ

ჰელაბრევი III—12, 1 برداشته دست

ჰელმოძალე XIII—2, 1

ჰელმწიფე VII—8, 1 سلطان X پادشاه

ჰელშემწევი VII—8, 1 دست یافته بر همه چیزی  
ხელი ეწიფება)

ჰმარება I عملی کردن

ჰმელი XV—1, 3

ჰმოზილი XIV, XV

ჰორციელი IV—2, 2 حیوانی ('ცხოველი')

ჰრმალი VIII—3, 4 شمشير

ჰურელი VIII—3, 2 سوراخ

ჯ

ჯავაირი XII—2, 3 جواهر

ჯგვლაგი XII—5, 4

ჯოჯოხეთი I—9, 4; III—1, 4 جهنم ('ჯანდაბა, ჯოჯოხეთი') I—  
11, 4 دوزخ

ჰ

[ჰხმოზა] ჰხმოზენ VII خوانند

ჰვაძხ III—1, 2 سزاوار است III—6, 4 არა ჰვაძხ სزاოარ نیست

### 3. კომენტარები

1. ე. ი. როკორც ქვეყნად, ისე ზეცად მხოლოდ ღმერთია უცვლელი.

2. მის პირისპირ, მის წინ, კარი გააღო.

3. ამ შემთხვევაში ხარეხმი (ანუ ხვარაზმი, ე. ი. ხორეზმი) გვევლინება ხორასანის სინონიმად და მზის მეტაფორაა (იგი მიღებულია სპ. خ كرمزის ახალი ტრანსკრიპციით (გავი აღარ გამოითქმის ალექსის წინ), ოღონდ, რადუან ქართულა გრძელი ა არ მოეპოვება, იგი ან ანით გამოაზატება (ხარაზმი, რაც იშვიათი ფორმაა), ან ონით (ხორეზმი). ხვარაზმი უქველესი ტრანსკრიპციაა, მაშინდელი, როცა თვითონ სპარსელები ალექსის წინ ვაგ' გამოთქვამდნენ. ინდოთ რაზმი სიშაგის მეტაფორაა. სპარსულ ლიტერატურაში გავრცელებული ეს სახე არაერთხელ გვხვდება ქართულ პოეზიაში (მდრ. რუსთველი: „ინდონი ბროლ-ვარდა სარვენ“. 889, 1; „ინდოთა რაზმი ჩემად კლვად თქვა“. 835, 2; „შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა“. 1346, 2). აქ კი ინდოთა რაზმი ღამეს აღნიშნავს. ტაეპში მეტაფორით თქმულია, მხემ ბნელი გაანათაო.

4. მინიშნებულია ბაბლურა ამბავი: იოსებ მშვენიერი რომ ჭაში ეგდო და იონა წინაწარმეტყველი რომ თევზმა (ვეშაპმა) გადაყლაპა. სპარსულ პოეზიაში იონას გადაყლაპვა მზის ჩასვლას მეტაფორაა, ხოლო იონას გამოსვლა თევზის (ვეშაპის) მეცილით — მზის ამოსვლისა.

5. ხორამზეა ტექსტში თარგმლილი ასე: خاستا آفتاب „ხალისიანი მზე“. ე. ი. გაახრებულია როკორც სპარსული مژده-ისა ('ხალი-იანი') და ქართული მზე სიტყვისგან შემდგარი კომპოზიტი. მაგრამ სპარს. ხორამ საერთოდ ქართულ ენაში არ ჩანს, ამის გარდა, ასეთ კომპოზიტს ვერ აწარმოებდა წრფელობითში დაძლეული უცხო წარმოშობის ზედსართავი და არსებითი სახელი. მზია ანდრონიკაშვილი აღდრე ფიქრობდა, რომ აქ „საქმე გვაქვს სინონიმურ პარალელთან“ — სპარს. ხორ

(‘მზე’) და ქართ. მზე,<sup>1</sup> მაგრამ ახლა მისი აზრით „შესაძლოა, ეს იყოს ხვარანზან ‘მზე ქალა“<sup>2</sup>.

6. პირველი ხანა დროს ნიშნავს, მეორე—სახლს. I—მათ დროში, ხანში, ყველაზე დიდი. II—ემ სახლში გამოიცვალა.

7. ე. ი. ნუ ეცდები, რომ გამჩენი (ღმერთი) ხილვადი გავიხდეს.

8. რაც ხილვადია, ის ცვალებადია.

9. გარდაცვლა აქ გამოცვლას (შცვლას) ნიშნავს. ღმერთი უცვლელია.

10. ვისაც ჰგონია, რომ ღმერთს გააჩნია სხეული და ადგილი, ის მოაჯე (სპარსული თარგმანით جتاجو ‘გაქირვებული’) გახდება.

11. იგულისხმება ბიბლიური წარმოდგენის ამბავი ყურანისა, ღმერთმა სახლეულით ფურის მთაზე მიმავალ მოსეს სასწაული რომ მოუვლინა,—ჯერ აჩვენა ღვთაებრივი შუქი, შემდეგ ჯოხი უქცია გველად, ბოლოს ხელი გაუთვთრა (ყურანი, XXVIII, 29—32).

12. ღმერთი იცნობს მათ, ვინც ოხრავენ.

13. პირველი თურად ნიშნავს: თურის მთად. შემომოსეთურად ტექსტში ერთადაა დაწერილი (შემომოსეს შემდეგ სიტყვათა გამყოფი წერტილი არ ზის) და თარგმნილია پوشانان باطن (‘შემმოსველი წყალობით’). დაწვა თური, — იგულისხმება ღვთის ნათელის მოფენა ფურის მთაზე. შავ შემმოსეთურად—შავებში ჩაცმულის მსგავსად (سياه پوش مانند) ბოლო ტაეები სპარსულად ასეა თარგმნილი: „ღმერთი უზე-ნაესი და მცოდნეა, მოსე თურით შეიცვალა. მოსე როგორ და რატომ(?)“.

14 ღმერთი ერთია და მისი ორ ან სამსახედ ცნობა გაკიცხვის ღირსია.

15. უქნელი, შეუძლებელი, საგმე როგორ მოხდა, მიზასუხე.

16. ე. ი. ღმერთი თუ ერთია, სამი სახე როგორ იქნებაო, ეკითხება პოეტი ქრისტიანებს.

17. ღმერთი დაუსაბამო, მარადი, უცვლელი და სწორუბოვარია.

18. იგულისხმებიან: აბრამ, მოსე, დავითი, ქრისტე, მამამდი.

19. სპარსულ ტექსტში ასო თარგმნილია: از ایشان (‘მათგან’).

20. იასე ავტორია, იასო—იესო ქრისტე.

21. დაისმინეთ ნიშნავს: დაისვით (შდრ. სპარსული ტექსტის: برای خود نشانید).

<sup>1</sup> მზია ან დრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966, გვ. 512.

<sup>2</sup> იქვე.



22. ურთიერთი არს და უხილი სპარსულად თარგმნილი არაა, მათი ტრანსკრიპციაა მოცემული არაბული ასოებით (اورثي ارس)

(اوسخيلي) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლექსის სპარსულად მთარგმნელმა ქართველმა ვერ გაიგო ამ ტერმინთა მნიშვნელობა (და მაშასადამე, სპარსული თარგმანის ავტორი იასე არ არის), მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, რომ იასეს პირობით ასე ჩაენიშნოს ეს სიტყვები. ურთიერთი ერთარსებას უნდა ნიშნავდეს, რადგან მას ამ თავის პირველი სტროფის შესაძენ ტავში ღმერთის სამახეობა უპირასპირდება.

23. იესო ადამიანის სახით წარმოადგინეთ (صورت هسته 'დახატული, სახისმქონე, ნახატო' რითმასთეის ნახატის-ს ნახეტი გამხდარა).

24. იგულისხმება მაჰმადის რჯული, აჰმადი მისი ერთ-ერთი ეპითეტია.

25. იგულისხმება მაჰმადიანთა რწმენა: ერთ ღამეს (ليلة المعراج 'აღსვლის ღამეს') მაჰმადი მექის ტაძრიდან იერუსალიმში იქნა გადაყვანილი, ხოლო იქიდან—ცხენი ბორწყის საშუალებით ზეცად აღზევებული. გაბრიელი—გაბრიელ მთავარანგელოზი.

26. შიიტები ცნობენ თორმეტ იმამს. როსტომი—ირანის მითოლოგიური გმირი. მორთახა ალი—მაჰმადის ბიძაშვილი და მიმდევარი, მისი სიძე, მეოთხე ხალიფა (656—661).

27. იგულისხმება რეჯან მიწერილი ამბავი ტყვეთა დახსნისა.

28. მათ ვემგვანები, მათ ვვაეარ.

29. მათი ჩამომავალი, მათვე მსგავსი, მათსავით (დედნის მათვეგვე არი სპარსულად თარგმნილია: هم مانند اش 'მსგავსია').

30. მათივე გვარი ადასტურებს ჩემს სიმართლეს, ე. ი. ჩემს ნათქვამს, რომ არ არსებობს (დედნის არ ნიშნავს: არ არსებობს) მისი გვარის მსგავსი სხვა ტომი.

31. ე. ი. მათი რჯულისა და გვარის წარმომადგენელი ზის ტახტზე, იგი ბიბლიური სოლომონ მეფის მსგავსია. იგულისხმება შჰჰ-აბჰს პირველი, სეფიანთა ირანის მეფე (1581—1628).

32. ამ სტროფის აშიაზე არაბულად მიუწერიათ:

اعظم الله اجور مصنف هذا الكتاب ورزقه سعادات الدارين  
 وكمالات انشأتين ووفق اعداء الدين للاهتداء بسنة خير الانبياء  
 والمرسلين محمد خاتم النبيين وعترة الطيبين الطاهرين صلوات الله وسلامه



عليهم اجمعين نمقه احوج المفتقرين الى رحمة الغنى محمد تقى بن  
مجلسى الاصفهانى عفى عنها بالنبي والوصى

„განადიდოს უფალმა ამ წიგნის შემთხვევლის საბოძვარნი და მია-  
ნიჭოს მას ნეტარება ორივე] სასახლისა (ე. ი. სააქოსი და საიქიოსი)  
და [შიაგოს] სრულქმნანი ორივე] ქმნილებისა. და დააყენებს სარწმუ-  
ნოების მტრებს სწორ გზაზე წინასწარმეტყველთა და მოციქულთა შო-  
რის რჩეულის, უკანასკნელი წინასწარმეტყველის მოჰამადის და მისი  
საუკეთესო და წმიდა გეარის სუნათი. აკურთხეებს უფალი და გაუმარჯ-  
ვებს მათ ყველას.

დაწერა ესე უფლის წყალობის ნოინედემ, უბადრუკმა მოჰამად  
თაყნმ, მაჯლისნ ისტაჰანელის შვილმან, განიკითხავს უფალი ორთავეს  
მოციქულისა და მისთა მიმდგომთა მეოხებით“.

33. ისეთი უხვია, რომ შარშანდელი გაცემული (შარ[შან] განაცი)  
დღემდე ვერ აუკრეფია ხალხს.

34. არაბთ მკერი აღბათ მაჰმადია. ჩანს, პოეტს უნდა  
თქვას: მაჰმადის შეწევნით ქვეყანას დავიპყრობო.

35. ორ ფურცელი, ეტყობა, რომელიღაც ყვავილია.

36. ვარდის წყალი სისხლია, სისხლის ცრემლებით ვტირო, ამბობს პოეტი.

37. გახსოვს, გულო.

38. ბადეში რად გაები, მას მივარდნილი.

39. იგულისხმება ბიბლიური ნოე და მისი კიდობანი.



# შენიშვნები „ვის-ო რამინსა“ და „ვისრამიანზე“

## I

ქაბრ ალ-დინ გორგანის „ვის-ო რამინსა“ და მისი ქართული თარგმანის კვლევას კარგა ხნის ისტორია აქვს. ამ საკითხზე 1962 წლამდე შექმნილი ლიტერატურა განხილული ან ფიქსირებული გვაქვს წიგნში, რომელიც ალექსანდრე გვახარიასთან ერთად გამოვეცით<sup>1</sup>. იქ ჩვენ ორიგინალის რედაქციებისა და 21 ქართული ხელნაწერის სიტყვასიტყვითი ურთიერთშეჯერების საფუძველზე წარმოვადგინეთ რვა საუკუნის მანძილზე შერყენილი ძეგლის გასწორებათა ჩვენი ვარაუდები. ნაშრომმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მასზე მთელი ლიტერატურა შეიქმნა<sup>2</sup>. ზოგი მათგანი ჩვენ მიერ აღძრულ საკითხებში ღრმად ჩახედვის შედეგად არის დაწერილი. ბუნებრივია, როგორც თავიდანვე ვაცხადებდით, ჩვენი შრომა, რამდენადაც ეფექტური არ უნდა ყოფილიყო იგი, არ შეიძლება ღრმად „ვისრამიანის“ ტექსტისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების საბოლოო პასუხად მიგვეჩნია, რაც ჩვენი ოპონენტების არა ერთმა

<sup>1</sup> ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მკვალი თოდუაძე, თბილისი, 1962.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ვისრამიანის ახალი გამოცემის გამო, „მაცნე“, 1964, № 3; დ. კობიძე, ვისრამიანის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 116; აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1965, გვ. 11. D. M. Lang-ის რეცენზია ჟურნალში: Bulletin of the School of Oriental and African Studies, 1963, vol. 26, part 2; ილია აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკიდან, საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფ. მოამბე, 1963, № 3; მ. მამაცაშვილი, „ვისრამიანის“ ერთი თავისებური ხელნაწერის გამო, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1965, XXXIX:2; მისივე, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა, „მაცნე“, 1967, № 6; კოტე ფალავა, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა, „მნათობი“, 1962, № 12; თენგიზ გორელიშვილი, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა, „თბილისის უნივერსიტეტი“, 1963 წ. № 26. ვახუშტი კოტეტიშვილი, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა, „კომუნისტი“, 1962, № 203 (12411); თინა კობლაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა, „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 32; მ. ჯაყელი, „ვისრამიანის“ აკადემიური გამოცემა, „თბილისი“, 1962, 15 მაისი, ღამაძე მემარნიშვილი, მკითხველის შენიშვნა, „ლიტერატურული საქართველო“, 1964, № 37; საინტერესო გამოცემა. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 46.



და ორმა შენიშვნამ კიდევაც დაადასტურა. აქ ჩვენ შევეხებით „ვისრამიანთან“ დაკავშირებულ ზოგ საკითხს და მათ შორის შევეცდებით ახსნა-განმარტება მივცეთ ჩვენს ოპონენტებს მათ მიერ გამოთქმული შენიშვნების თაობაზე. აქედანვე უნდა განვაცხადოთ, რომ ზოგი რეცენზია დაწერილია წიგნის გამოსვლისთანავე, ამავე დროს ყოველთვის ობიექტური არ არის და, რაც მთავარია, პოლემიკური ხასიათისაა. ამის გამო, ვპასუხობთ რა მათ, ზოგან შეიძლება ჩვენც ვცოდავდეთ სტილის თვალსაზრისით.

უპირველესად გვინდა ვუპასუხოთ დ. კობიძის შენიშვნებს.

1. დ. კობიძე აცხადებს: „დღემდე არავის უცდია, მაგალითად ვისრამიანის ქართული და სპარსული ვერსიების ერთმანეთთან შედარებისა და ანალიზის საფუძველზე გაარკვიოს ქართული ტექსტის ღირებულება და მნიშვნელობა თვით სპარსული ვერსიის შესწავლისა და ტექსტის დადგენის თვალსაზრისით“ (ხაზი ჩვენია—მ. თ.)<sup>3</sup>.

ასეთი შედარება და ანალიზი მანამდე სამი წლით ადრე ჩვენ უკვე გვქონდა გაკეთებული (მას ჩვენს წიგნში 461 გვერდი უჭირავს). დ. კობიძე იმავე სტატიაში ზემოთ მოტანილი ციტატიდან თექვსმეტი სტრიქონის შემდეგ წერს: „ქართული რედაქციის ბევრი მცდარი წაკითხვა გასწორდა და თითქმის ამომწურავად გაიკვია მისი მნიშვნელობა სპარსული ტექსტისათვის“ (ხაზი ჩვენია—მ. თ.). დ. კობიძეს, რომელსაც „ვისრამიანზე“ უმუშავია, მოსალოდნელი იყო ცოდნოდა ვინ გაარკვია ეს მნიშვნელობა? დ. კობიძის წერილში ჩვენს ნათქვამს კილო აქვს გამობმული და სადავოდ გამხდარია ისეთი რამ, რასაც ჩვენ საერთოდ არ ვეხებით. ასე, მაგალითად, ერთგან ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ „ვისრამიანის“ მთარგმნელი ზოგჯერ გახსნის ხოლმე (ე. ი. თარგმნის ან შესატყვისის უძებნის) ორიგინალის იდიომატურ გამოთქმას, ზოგჯერ კი პირდაპირ ვადმოაქვს იგი. მაგალითისათვის მოგვაქვს სპარსული ხატი-გულისგან ჯანგის მოხოცვა, და ვამბობთ, რომ მთარგმნელს „უცვლელად ვადმოაქვს იდიომატური გამოთქმა (98, 35. „საწუთროისა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოჰკოცა“)<sup>4</sup>. ამ წინადადებაში ჩვენ, ვიმეორებთ, გვანტერესებს „მტერობისა ჯანგი აღმოჰკოცა“, მაგრამ სისრულისათვის მოგვაქვს ქვემდებარეც. მაგრამ ირანისტი დ. კობიძე გვიწყრება: ვასაოცარია, ეს ფრაზა უცვლელად ვადმოღებულად მიიჩნიესო და იქვე კითხულობს: „საინტერესოა ვიცოდეთ, რა დაინახეს მათ

<sup>3</sup> და ვით კობიძე, ვისრამიანის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1965, გვ. 23.

<sup>4</sup> ვისრამიანი, გვ. 306.

სპარსულში „საწუთროისა ზეინკალის“ შესატყვისი, რაც თურმე მთარგმნელს „უცვლელად“ დაუტოვებიაო“ (იქვე). ვპასუხობთ: „საწუთროისა ზეინკალის“ არავითარი შესატყვისი არ დაგვინახავს, და საერთოდ ჩვენ ეს ფრაზა აქ არ გვაინტერესებს.

დ. კობიძის ექსკურსით, ჯამის „ბეჰარესთანში“ ციტირებული „ენს-ო რამინის“ რვა ბაითიდან მის სპარსულ გამოცემებში მხოლოდ ხუთი აღმოჩნდა, „დანარჩენი კი, ჩანს დაკარგულა. ეს გარემოება, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ სპარსულ ტექსტს ადგილები აკლია და ალაგ-ალაგ საკმაო ცვლილებებიც განუცდიაო“<sup>5</sup>. სპარსულ ტექსტს რომ საკმაო ცვლილებები განუცდია, ეს ჩვენ დამაჯერებლად ცხადვყავით ასეულობით მაგალითების მოხმობით. ჭეშმარიტების დასადგენად არც დ. კობიძის მიერ მოტანილი მაგალითი იქნებოდა ზედმეტი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სწორი არ არის, რადგან ჯამის მიერ ციტირებული რვავე ბაითი იკითხება „ენს-ო რამინის“ სპარსულ გამოცემებში (იხ. მ. მაჭუბის გამოცემა 127; 129; 128,4; 130,8; 146,15; 163,13; 164,1; 164,2; 178,8).

განვიხილავთ ტექსტის ზოგ სადავო ადგილს.

1. შაჰროს ატყუებს მოაბადი: შენი ქალიშვილი ვისი ღალატისათვის მოვკალიო. შაჰრო გოდებს და იმუქრება (მოგვაქვს მეორე გამოცემის<sup>6</sup> ტრადიციული ტექსტი): „მივალ, მთუარესა მოვატყენებ, შენ იგი მთუარე ხარ, რომელ სიკვალუცე გშურდა ჩემისა ვისისათვის, — მისსა შესწავლასა ვაფიცებ, რომელ შენგან კიდე მისი მსგავსი არავინ იყო, — მიშუელე მისსა მესისს ლეობასა ზედა! წავალ, ღრუბელთა ვეუბნები: შენ იგი ხარ, რომელ ჩემის ვისისა თმათა ჰსახობდი, აწ მე მიშუელეთ, დააწუიმეთ მისისა მესისს ლეობისათვის ფათერაკი, მეხი, ელა, სეტყუა და ქუხილი“ (გვ. 155). დავას იწვევს ერთი საკითხი — რა შეიძლება საერთო ჰქონდეთ ღრუბელსა და ლამაზ ქალს? თავის მრავალმხრივ საყურადღებო რეცენზიაში, რომელიც ჩვენს გამოცემას მიუძღვნა<sup>7</sup>, ალ. ბარამიძე გვარწმუნებს: „სიშავის კვალობაზე შავი თმის შავ ღრუბელთან შედარება საესებით კანონზომიერი შედარებააო“ (გვ. 168). „ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა შემთხვევა დავემოწმებინა შედარება „შავთა ღრუბელთაებრო“ (იქვე). მაგრამ შავ ღრუბელს, როგორც ვნახავთ, გაბრაზებულ მოაბადს ადარებს რეცენზენტი, მეფის მრისხანების გამო-

<sup>5</sup> დ. კობიძე, ვისრამიანის საკითხები, გვ. 19.

<sup>6</sup> ვისრამიანი ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, თბილისი, 1938.

<sup>7</sup> ალ. ბარამიძე, ვისრამიანის ახალი გამოცემის გამო, „მაცნე“, 1964, № 3.

4. მაგალი თოდუა

სახატავად იმველიებს. აქ კი ქალის თმაზეა ლაპარაკი. მივმართოთ ორიგინალს:

روم سا ابر گویم تو همائی  
که چون گفتار ویسم در فشانئی\*) (۱۱۱، ۲۷۶)

„წავალ, ღრუბელს ვეტყვი, შენ ისა ხარ,  
რომელიც ჩემი ვისის თქმასაებრ მარგალიტს აფრქვევ“

სპარსულ პოეზიაში წყობილი მეტყველებების, სასიამოვნო ლაპარაკის, წყლიანი საუბრის მეტაფორად ხშირად იხმარება მარგალიტი (ج), მაგრამ მარგალიტი მარტო საუბრის მეტაფორა როდია. მასა შედარებული წვიმის წვეთები, ქალის უმანკოება, ფაქიზი პოეტური სახე და სხვ. ვისა და ღრუბელს შორის ყოფილა რაღაც მსგავსება. რითი შეიძლებოდა ამ სიტუაციაში ისინი მგვანებოდნენ ერთმანეთს? იმით, რომ ტკბილმოუბარ ვისს მარგალიტებს უგავს თქმა (ლაპარაკი, საუბარი), ხოლო ამავე მარგალიტებს უგავს ღრუბელს წვიმის წვეთები. შაჰროს უნდა უთხრას ღრუბელს: „შენ ისე აფრქვევ წვეთების მარგალიტს, როგორც ვისი—სასიამოვნო სიტყვებსო.“

ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, რომ ქართულში გადმოტანილი უნდა ყოფილიყო ორიგინალის პოეტური სახე, მისი გოქთვარ ზუსტად გაგებულ უნდა ყოფილიყო როგორც თქმა (რაც საბას განმარტებით საუბარს, ლაპარაკს ნიშნავს), ხოლო გადამწერს სიტყვაში ქანი უნდა ამოეგდო. ალ. ბარაზიძე მართალია, როცა ფიქრობს, რომ ქალის თმა ღრუბელს შეიძლება შეუდარდეს. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ „ვისრამიანი“ შეიძლება მოვიშველიოთ, სადაც ერთგან გვითხულობთ:

بابر اندر چو زهره گوشوارش (۴۰، ۱۴)

„ღრუბელში (ე. ი. თმაში) ვენერასავით [ციმციმებს] მისი საყურე“, მაგრამ აზით ჩვენი ვარაუდი ვერ მოიხსნება.

2. ერთად შეყრილ ვისსა და რამინს მოაბადმა მოუსწრო. მაგრამ მას ძიძამ აღრე უგრძნა და შეყვარებულნი გააფრთხილა. მეორე გამოცემის მიხედვით ძიძა ამბობდა: „აღმოსავლეთით ჩუენთუის უბედურობისა მზე აღმოჰქდა:—შაჰინშა მოვიდა შავთა ღრუბელთაებრ, ჩუენთუის ელვა-ქუხილი გამოჩნდა და ქირისა მათისაგან ლუარი დაიწყებს დენასა“ (გვ. 148). აქ მათისაგან არ უნდა იყოს, მათისაგან უნდა, მაგრამ თავის დროზე ჩვენს შრომაში მასზე, რა თქმა უნდა, არაფერი გვითქვამს.

\*) ისე მივუთითებთ ჩვენს გამოცემას: ويس و رامین از فخر الدین اسعد  
گرگانی تصحیح ماگالی تودوا و الکسندر گواخاریا، تهران، ۱۳۴۹  
შემდეგში: ويس و رامین

ისე გავასწორეთ, რადგან იგი კორექტურულ შეცდომად მივიჩნით (თუმცა ზოგი რეცენზენტი ასე გვახსიათებს: „ახალი გამოცემის რედაქტორები მოჩვენებით სიფრთხილეს იმიტომ იჩენენ, რომ მკითხველები დაარწმუნონ მეორე გამოცემის რედაქტორთა პრინციპულ შეცდომის არსებობაში და ვითომც ამის საფუძველზე უცილობელს ხდიან შეცდომის გასწორების საჭიროებას“<sup>8</sup>). საჩოთაირო სხვა რამ გვეჩვენა. აღმოაველურ და, გნებავთ, ქართულ ლიტერატურას გაცნობილ კაცს თვალში ეცემა ფრაზა: „უბედურების მზე აღმოჰკვდა“. რა მზეზეა ლაპარაკი? იგი მეტაფორაა, ეს მზე შაჰი მოაბადია (ძველ ხელოვნებაში მზე მეფეთავეს ჩვეულებრივი ეპითეტი იყო). მეფეთა-მეფის მოულოდნელი მოხრჩანებით თავზარდაცემული ძიძა ამბობს: მზე აღმოხდაო, ე. ი. შაჰი მოაბადი მოვიდაო. ძიძას თვალში მეფე მზე კია, მაგრამ მან უკვე ისიც იცის, რომ მათთვის ეს მზე ცხოველყოფელი როდია, არამედ უბედურების მომასწავებელია, რადგან მოსალოდნელია, რომ შეტრაცხყოფილი ქმარი-ხელმწიფე სათანადოდ დასჯის მოღალატე ცოლს—ეისს, მის საყვარელ რამინს და მათ ხელისშეწყობ ძიძას. მაგრამ რადგან პროტმა მეფე უკვე მზეს შეადარა, იქვე მას შავ ღრუბელს ვერ შეიადარებდა. მაშ რაღაა ეს შავი ღრუბელი, აკი სწერია „შაჰინშია მოვიდაო“? მაგრამ გახახული ფრაზა ღრუბელს კი არ ეკუთვნის, არამედ მეტაფორის გახსნაა, მეტაფორული თქმის განმარტებაა. ძიძა ამბობს: უბედურების მზე აღმოხდა, — მეფე მოვიდაო. თორემ, ასე რომ არა, გაუგებარი იქნებოდა უბედურების მზე აღმოხდა. მზე რატომ უნდა ყოფილიყო უბედურების მომტანი. იგი მეტაფორა რომ არ იყოს და მოაბადს რომ არ ნიშნავდეს?! მაგრამ მზე, მისი აღმოხდომა, როგორ შეიძლება შავ ღრუბელს ჰკავდეს! თუ არა და რაა ის, რაც შავთა ღრუბელთაებრაა? შავ ღრუბლებს არც ელვა-ქუხილი ჰკავს.

ჩვენს გამოცემაში ღრუბელთაებრ ბირობით შეცკალეთ ფორმით ღრუბელთაგან, ამის შედეგად უხერხულობა თითქოს მოიხსნა: ელვა-ქუხილი შავ ღრუბელს კი არ იყო შედარებული, არამედ იგი ავდრის შავი ღრუბლიდან ჩამოსხლეტილად იყო ჩათვლილი.

ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ერთი ენობრივი მოვლენა: -ებრ და -გან თანდებულების ურთიერთმონაცვლეობა „ვისრამიანში“. ერთგან რამინი ამბობს: „აქათგან აზატი ხარ ყოვლისა ჭირისაგან და აზატი კაცი მონისაგან ჭირსა და ჯავრსა ვერ გაძლებს უსამართლოდ“ (გვ. 251, 18), რაც ნიშნავს: მონისაებრ ჭირს ვერ გაძლებს (დედანში კვითხულობთ: 171, 191 — „როგორც მონა“ ანუ „მონისაებრ“). ასევე: „არავინაა სიყვარული სიგან მპარავი, რომელ გულისაგან თმობასა,

<sup>8</sup> იქვე, გვ. 170.

წაუღებს და დაწუთავან—ფერსა ასრე ადვილად, ვითა მთრვალისაგან  
ტაქროსა ტარალი“ (გვ. 249, 2). აქაც სიყუარულისაგან ნიშნავს:  
სიყვარულისაებრ (144, 14) და ერთ ქართულ ხელნაწერს  
(Q 479) იგი ასეც შეუცვლია.

თავისთავად -გან თანდებულის ფუნქციით გამოდის „ვისრამიანში“  
-თ უის: „დედისა და სახლისათ უის მოწყუედილ ვარ“ (97, 29), რაც  
ორიგინალში ასეა გადმოცემული:

(109, 29) هم از خانه جدا ام هم ز مادر

ჩანს, საცილობელ ტექსტში ღრუბელთაებრ ფორმა გადაკეთებას არ  
საჭიროებს, იგი ნიშნავს: ღრუბელთაგან. ყველაფერი ნათელია, სას-  
ვენი ნიშნებია ოღონდ სწორად დასასმელი: „აღმოსავლეთით ჩუენთუის  
უბედურობისა მზე აღმოჰქდა,—შაჰინშა მოვიდა. შავთა ღრუბელთაებრ  
(ე. ი. შავთა ღრუბელთაგან) ჩუენთუის ელვა-ქუხილი გამოჩნდა და ჭი-  
რისა მთისაგან ღუარი დაიწყებს დენასა“.

3. „ვისრამიანში“ იკითხებოდა: „მიჯნური მიჯნურობისაგან მთრვალსა  
ჰგავს, ამით რომელ ღუხჭირი მოყუარე კეკლუცადვე უჩს; მთრვალისებ-  
რვე შფოთითა მლუიძარე მძინარესა ჰგავს“ (II გამოც. გვ. 55) ორიგინალ-  
ში ავტორს უწერია:

چه عاشق باشد اندر عشق چه مست

کجا بر چشم او نیگو بود گست

بعشق اندر چو مست آ شفته باشد

ز ناخفتن بسان خفته باشد (118, 94)

„რა შეყვარებული სიყვარულში და რა მთვრალი,  
რამეთუ მის თვალში მახინჯი ლამაზად ჩანს,  
სიყვარულის გამო მთვრალივით შფოთავს,  
უძილობისაგან მძინარესა ჰგავს“.

ორიგინალის მოშველიებით აზრი ნათელი ვახდა. გაირკვა, რომ  
შფოთითა სიტყვაში ა ემფატიკური ხმოვანი კი არ არის, არამედ  
შედგენილი შემასმენელის ზმნური ნაწილია, და ნიშნავს—არის, ე. ი.  
შფოთით არის, მშფოთვარეა, შფოთავს. ტექსტი ასე ვავიგეთ: მიჯნუ-  
რი მთვრალივით შფოთავს, არ სძინავს და უძილობისაგან ისე მოთენ-  
თილია, თითქოს სძინავსო. ყოველივე ამის გამო ტექსტი ასე წავიკით-  
ხეთ: „მიჯნური მიჯნურობისაგან მთრვალსა ჰგავს, ამით რომელ ღუხ-  
ჭირი მოყუარე კეკლუცადვე უჩს; მთრვალისებრვე შფოთითა, მლუიძარე  
მძინარესა ჰგავს“ (75,2).



ალ. ბარამიძე წერს: „გასწორებული ტექსტი რომ ტრადიციულს შეუდაროთ, ვერავითარ განსხვავებას ვერ იპოვით გარდა იმისა, რომ გასწორებულში სიტყვა შფოთითა-ს შემდეგ დასმულია სასვენი ნიშანი (,) , მაგრამ ამისათვის რა საჭირო იყო დედნის ციტირება და მით უფრო ამდენი ხელნაწერის დასახელება. ნუთუ ხელნაწერებში სასვენი ნიშანია თავის ადვილას დასმული? რედაქციის მიერ წარმოდგენილი ფორმით საანალიზო ტექსტისათვის სასვენი ნიშანი უადვილოა, შეუძლებელია სასვენი ნიშნით გამოიყოს „მთრვალისებრვე შფოთითა“ (გვ. 169, ხაზი ყველგან ჩვენია— მ. თ.). ვფიქრობთ, სასვენი ნიშნის დასმას ფრაზაში მნიშვნელობა აქვს. ასევე, არ მიგვაჩნია დანაშაულად თარგმანი დედანს შეუდარდეს ტექსტის დადგენისას და სხვა ხელნაწერები იქნას მოხმობილი. რეცენზენტს არ ახსოვს „ვისრამიანის“ ხელნაწერები, სადაც სასვენი ნიშნები არაა დასმული, მაგრამ ხშირად აზრები ერთმანეთისაგან საგანგებო ნიშნებით, პატარა რგოლებითაა გამოყოფილი<sup>9</sup>. როგორც ჩანს, მას ჰგონებია, რომ ჩვენ ეს ადგილი ვერ გავიგეთ, შფოთითა-ში ა ემფატიკურ ხმოვნად მივიჩნიეთ. მაგრამ ჩვენ ხომ ვწერდით: „აზრი ნათელია: მიჯნური „მთრვალისებრვე შფოთითა“ (ე. ი. მშფოთვარეა) და „მღუაძარე მძინარესა ჰგავს“ (გვ. 345). მშფოთვარეა განა არ ნიშნავს: მშფოთვარე არის? ალ. ბარამიძე წერს: „ოღონდ ახლა ვრწმუნდები, რომ აჯობებდა სიტყვისაგან „შფოთითა“ გამოიყოს ა, როგორც არის შესატყვისი: შფოთითა (შფოთით არის). მაშინ სასვენი ნიშანიც საჭირო იქნება და აზრიც უფრო ნათელი გახდება. ეს ექსკურსი იმას ამტკიცებს, რომ რედაქციის მიერ „შესწორებულ“ ტექსტს ამ შემთხვევაში თვითონ სჭირდება ხელახალი შესწორება“ (გვ. 169). რეცენზენტი იმასვე ამტკიცებს, რაც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, ოღონდ იგი მხოლოდ ახლა დარწმუნებულია ამაში, რომ შფოთითა ნიშნავს შფოთით არის, ჩვენ კი თავიდანვე ასე ვგვჯეროდა და ამიტომ გამოვყავით იგი მქიმიით. როგორც ჩანს, ეს ა დეფინით რომ გამოგვეყო, რეცენზენტი მიგვიხვდებოდა, მაგრამ ასეთი გამოყოფა საჭირო არაა. „ეს ჩემი წიგნია“—ო ვწერთ, რაც ნიშნავს: „ეს ჩემი წიგნი-ა“, ე. ი. „ეს ჩემი წიგნი არის“. ამიტომაც, რომ ანს აქ სპეციალისტებიც არ გამოყოფენ<sup>10</sup> (შდრ. „ნუმცა, — ე. ი. ნუმც არის,— შენი არჯალი პირი“ „ვისრამიანი“, 88,22).

<sup>9</sup> ამის თაობაზე იხ. მარინე მამაცაშვილი, „ვისრამიანის“ ერთი თავისებური ხელნაწერის გამო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIX;2, 1965, გვ. 499.

<sup>10</sup> შდრ. ოთხოთავი: „უადვილესა ზომთ საზღისად გურელსა ნემსისასა განსვლად, ვიდრე მდიდრისა შესვლად სასუფუველსა ღმრთისასა“. ქართული ოთხოთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945, გვ. 67.



4. რამინმა დააგლო ვისი, გორაბში გარდაიხვეწა და იქ სხვა ქალი, სახელად გული შეირთო. მისი სიყვარულით დატანჯულმა ვისმა რამინს ათი წერილი გაუგზავნა და თავისი ცუდი მდგომარეობა გააგებინა: „შენ ნეტარებ, მე კი შენი სიყვარულით ვიტანჯებით. ბოლოს რამინს მოუბრუნდა გუნება, ვისის სიყვარული განუახლდა. ერთხელ იგი ველად იყო გასული, ერთ კაცს ხელთ იის კონა უნახა და ვისისადმი მიცემული სიყვარულის ფიცი მოაგონდა. „რამინს რა იგი უამი და დღე მოეგონა, ასრე გაგდა, რომელ საწუთრო დაუბნელდა... ეგზომი თვალთავან ცრემლი იღინა, რომელ ახალნი ზღუანი დააყენა“ (227,9). „მას უკანა სიმამრი მისი რაფედ მოვიდოდა, ამა მისისა სიძისა მოთქუჲსასა და ტირილსა ყურსა უპყრობდა“ (229,8). მივიდა და ჰკითხა რამინს: რა დაგემართათო? რამინმა თავისი ყარობობა მოიმიზეზა, მაგრამ ისიც ვერ დაშალა, რომ სატრფო ენატრებოდა: „მე აქა არცა ნატაშალი მივის და არცა მოყუარე, არცა გულისა წამლებით“ (230,8). „რა რაფედ ნადირობით შემოვიდა, თავისა ასულსა გულსა თანა რამინის ხუაშიადი გამოაცხადა და უამბო ვითა: „რამინ... შენი სიყუარული დააგლო“ (231,2). ამას რომ გუბნებოდა, შემოვიდა რამინიც: „ამაზედა შემოვიდა რამინ ნადირობით, დაკოდილსა ნადირსა ჰგუჲანდა დაბრუტებულსა, თავისა გზა-გაუდებელსა. თუით დაღრეჯილი იყო, გული სისხლითა ავსოდა და ცრემლითა პირი დაეხანა. სასიხარულოსა სუჲსასა შინა ესეთი იყო, ვითა მკუდარი... და თუ-ალთა ცრემლი ადგებოდა, გული უთრთოდა, საუბრისა ძალი არ ჰქონდა და ყოველი სიხარული გაარმებოდა ვისის მოსურვებულობისათუის“ (231,20; 231,31). და აი, აქვე რამინი, ძველი გამოცემების მიხედვით, გულში ამბობს: „აწ ჩემსა ცოლსა ეგრე ჰგონია თუ მე სიხარულად ვზი, და ესე არ იცის. თუ უვისოდ რა ყოფასა შინა ვარო“ (მეორე გამოცემა, გვ. 238). ისმის კითხვა: 1) რატომ უნდა ეგონოს რამინის ცოლს, გულს, რომ რამინი სიხარულად ზის? განა ვერ ხედავს იგი (ტექსტში ვკითხულობთ: „მისი ცოლი გულ წინ უჯდა“ 231,24), რომ რამინი ტირის და ზემოთ აღწერილ დღეშია ჩავარდნილი? 2) რამინმა ხომ იცის, რომ რაფედი თავის შვილს რამინის ამბავს არ დაუმალავდა, რაფედმაც თავის შვილს ხომ უკვე უთხრა, რომ რამინს გული აღარ უყვარს და უვისოდ ცუდ დღეშია, მაშ რატომ ამბობს ახლა რამინი: გულმა, ჩემმა ცოლმა, არ იცის, თუ უვისოდ რა ყოფაში ვარო? ალ. ბარამიძე წერს: „მართალია, რომ რამინი საანალიზო ეპიზოდში ვისს იგონებდა, მაგრამ ჩვენს ნაწყვეტში სიტყვა ცოლი სცხვებით თავის ბუნებრივ ადგილსაა, რამინი გულთან (ცოლთან) ქეიფობდა, მოჩვენებითად თავი მსიხარულად ეჭირა, გულში

კი ამბობდა: „აწ ჩემსა ცოლსა ვერე ჰგონია, თუ მე სიხარულად ვზი“ (გვ. 177).

როგორც ვნახეთ, ასეთი რამ ტექსტში არსად იკითხება, არსად სწერია: თავი მხიარულად ეჭირა ან მხიარულობდაო, არამედ ნათქვამია: ტიროდა, მკვდარს ჰგავდაო და მისთ. როგორ უნდა გავაგოთ ტექსტი? უპირველეს ყოვლისა საჭიროა, მივხაროთ ქართულ ხელნაწერებს და პარალელურად მოვიშველიოთ ორიგინალი: მაგრამ ზოგჯერ პირველს, ხელნაწერებისთვის ანგარიშის გაწევას, რეცენზენტები არ გვარჩევენ, „ვარიანტული ჩვენება არ არის გადამწყვეტიო“<sup>11</sup>, ხოლო მეორის, ორიგინალის მოშველიებისა, ალ. ბარამიძე კატეგორიულად წინააღმდეგია, რადგან მას ჩვენი პრინციპი—დედნისაგან განსხვავებულ ადგილებში ორიგინალის გათვალისწინება—უმართებულოდ მიაჩნია („რედაქციის ეს პრინციპული თვალსაზრისი მიგვაჩნია ჩვენ უმართებულოდ“)<sup>12</sup>. ქართული ხელნაწერებისა და ორიგინალის მოშველიების გარეშეც აშკარაა, რომ მეორე გამოცემების წაკითხვა მცდარია იმ მიზეზების გამო, რომელ-ზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ხოლო ორიგინალი და ხელნაწერები კი, აი, როგორ ჰფენენ შუქს ამ ბნელ ტექსტს. მიემართავთ ჯერ დედანს:

چنان آید نگارم را گمانی

که من هستم کنون در شادمانی (۲۸، ۴۱)

„ჩემს ლამაზს (სატრფოს) ჰგონია,  
რომ მე ახლა მხიარული ვარ“.

აქაც ვიღაცას ჰგონია, რომ რამინი მხიარულია. რამინი ასახლებს მას, ესაა ნეგარ ('ლამაზი'), რომელიც სატრფოს სინონიმია სპარსულ პოეზიაში და ვასის ერთ-ერთი ეპითეტი გახლავთ. ვკითხვით: ორში, ვისა და გულში, რომელმა არ იცის, რომ რამინი დამწუხრებულია? რა თქმა უნდა, ვასმა. ვისი მას სწერდა თავის პირველსავე წერილში: მე ამ სიღუბეში ჩამავდე, შენ კი წახვედი და გაიხარეო; მე გამხდარი ნაძვი ვარ, შენ—ამკვანებელი კვიპაროზიო; მე დაბნელებული მთვარე ვარ, შენ—მანათობელი მთვარეო; მე აოხრებული ბაღი ვარ, შენ სამოთხისებრი წალკოტიო და ა: შ. (204, 18). ვასი თავისი სატანჯველით იტანჯება და რამინი თუ წუხს მასზე, ეს არ ჰგონია; ხოლო გული, მისი ცოლი, ვამეორებთ, წინ უზის რამინს და კარგად ხედავს, რომ რამინი მხიარული არაა. ჩვენ იმასაც კი ვკერძოთ გამოკვლევაში (გვ. 434), რომ ამ სიტუაციაში რამინი გულს არ მოიხსენიებდა როგორც ნეგარემ

<sup>11</sup> ალ. ბარამიძე, ვისრამიანის ახალი გამოცემის გამო, გვ. 177.

<sup>12</sup> იქვე.



(ჩემი ლამაზი, ჩემი სატრფო). რადგან ეს ის დროა, როცა გული, მისი ცოლი, მას მობეზრდა და ვისის სიყვარულით იტანჯება. ახლა ქართულ ხელნაწერებსაც მივმართოთ. სამი საუკეთესო ნუსხა: S—3702, S—102 და თელავის ხელნაწერი აქ ნაცვლად სიტყვისა ცოლსა—კითხულობს: ვისსა. საიდან გაჩნდა ამ ხელნაწერებში ორიგინალისეული წაკითხვა? მიუფთითებთ კიდევ ერთ გარემოებაზე. რეცენზენტს მის მიერ ციტირებული რამინის ვოდება ცოტა კიდევ რომ ჩაეკითხა, იქვე ასეთ საინტერესო ფრაზას ნახავდა. მოვიტანთ უკვე მთლიანად: „აწ ჩემსა ცოლსა ეგრე ჰგონია, თუ მე სიხარულად ვზი, და ესე არ იცის, თუ უვისოდ რას ყოფასა შინა ვარ, ანუ როგორ ვიწუი და კულა ესეცა საგონებელად მევე მომმატებია“. როგორ ვიფიქროთ, საგონებელში რამინი იმიტომაა ჩავარდნილი, რომ გულს, თავის ცოლს, უფრთხილდება? აკი გულისთვის მას არც შეუხედავს, მის თვალწინ ვისზე ტიროდა და მეტი რომ ვერ მოითმინა, უბოდიშოდ მიაგდო იგი, ადგა, დარბაზი დატოვა, იქვე მოახტა რაშს და მარავში გაქანდა ვისისკენ! ვფიქრობთ, აქაც იმაზეა ლაპარაკი, რომ რამინი ორნაირად იტანჯება: ერთი იმით, რომ ვისი უყვარს თავისთავად, ხოლო მეორე იმით, რომ კარგად იცის, ვისს არა აქვს სწორი ინფორმაცია რამინზე, მას იგი ისევ მისი მოღალატე, ცოლთან ბედნიერი და მხიარული ჰგონია.

5. ყველა ხელნაწერის მიხედვით ვისს განშორებული რამინი მოთქვამს: „მე მახესა დაბმულსა კაკაბსაც ვებრალევი შენისა სიშორისათვის შექირვებული თუ რა ქირი გინახავს მოაბად შენ ლხინი გმართებს და სიხარული“ (სასვენ ნიშნებს არ ვუსვამთ საგანგებოდ). რას ნიშნავს მოაბად? რამინი აქ თავის ძმაზე რომ არ ნაღვლობს, აშკარაა. მაშასადამე, ტექსტი გაუგებარია. თავიდანვე რომ კარგად ჩაფიქრებოდნენ, აქ საგანგაშო არაფერი იყო. მოაბად-ის შესატყვისად ორიგინალში **ساہا** (მაბად) იკითხება და ნათელი იყო (II გამოცემის რედაქტორებისთვისაც), რომ ქართულის მოაბად ორიგინალის მაბად-დან მოდის, ოღონდ გაუგებრობის გამო დამახინჯებულია, ხოლო მაბად ნიშნავს: ნუ იქნას! რაც მეორე გამოცემის რედაქტორებმაც იცოდნენ. ამ სიტყვის ტექსტში დატოვებასა თუ არდატოვებაზე რომ მსჯელობდნენ, მეორე გამოცემის რედაქცია უნდა გარკვეულიყო, თუ ვის ეკუთვნოდა თარგმანში ეს მაბად — მთარგმნელს თუ გადამწერს? ქართული ხელნაწერის გადამწერსავეთ ორიგინალისეული მაბად საიდან უნდა მოეტანათ? იგი მთარგმნელს ეკუთვნის. რატომ იხმარა მან ეს სპარსული ფორმა და არა ნუ იქნას? იმიტომ, რომ მაბად მაშინ ქართულში იხმარებოდა ისე, როგორც დღესაც ვხმარობთ ქართულში მთელ სპარსულ წინადადებებს: **خبردار!** (خبر — ხაბარ დარ — „ამბავი იქონი“.



„ფრთხილად“), შაბაში (شباش — შად ბაშ — „მხიარულად იყავ“, „არ-  
ხენად იყავ“, „ყოჩად“) და სხვ. მეორე გამოცემის რედაქციამ მიგნებით  
კი მიაგნო სპარსულ ორიგინალში ამ შაბად-ის, მაგრამ ის ვერაფრით  
დაიჯერა, რომ იგი მთარგმნელს შეეძლო ასევე გადმოეტანა ქართულად  
ან ქართულში უკვე შემოსული ეგვევ სიტყვა მიესადაგებინა. რედაქციამ  
თვითონ თარგმნა იგი („ნუ იყოფინ“) და ქართულ ტექსტში ეს მისი, სა-  
კუთარი, თარგმანი შეიტანა. რა უფლებით? იუსტინე აბულაძე პირველი  
გამოეხმაურა ამ ადგილს<sup>13</sup>. მან აღნიშნა, რომ აქ მის მიერვე ნავარაუდევ  
პირვანდელ ზუსტ ქართულ თარგმანში შაბადა იკითხებოდა (ე. ი. ეს  
სპარსული სიტყვა უთარგმელად იყო გადმოტანილი), ხოლო გვიანდელმა  
რესტავრატორმა (უფრო სწორად, გადამწერმა) იგი შაბად-ად გადა-  
აკეთა, რადგან მას არ ესმოდა „შაბადაო“. ასხნა ნათელია. ალ. ბარამი-  
ძის აზრით, „პრინციპული ასპექტით პროფ. იუსტ. აბულაძეს ახალი  
არაფერი უთქვამს, ოღონდ თუ სარედაქციო კოლეგიამ შებადა ძველი  
ქართულით თარგმა და ისე შეიტანა ტექსტში, იუსტ. აბულაძემ უცვლე-  
ლად დატოვა სპარსული გამოთქმა ქართული ტრანსკრიპციით“<sup>14</sup>. განა  
შეიძლება ასეთი რადიკალურად საწინააღმდეგო აზრის შესახებ თქვან:  
პრინციპული არაფერიაო! ალ. ბარამიძე აქ არ ჩერდება და საქციელს  
უწუნებს იუსტინე აბულაძეს: „სხვა საქმეა რამდენად სწორად მოიქცა  
იუსტ. აბულაძე, ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის გაუგებარი  
მთელი სპარსული გამოთქმა რომ ჩაურთო ქართულსო“<sup>15</sup>. იუსტინე  
აბულაძეს არ ჩაურთავს ეს გამოთქმა „ვისრამიანის“ ტექსტში (მას  
„ვისრამიანი“ არც გამოუცია). ეს სპარსული გამოთქმა იყო ყველა ქარ-  
თულ ნუსხაში, ოღონდ დამახინჯებული ფორმით („შაბად“) და მან,  
ქართულ ფილოლოგიაში მრავალი ფაქიზი მიხვედრების ავტორმა, აქ  
სრულიად აშკარა ჭეშმარიტებას მოჰფინა შუქი, ერთხელ კიდევ ვიმე-  
ორებთ,—განგვიმარტა, რომ იგი მთარგმნელს ეკუთვნის და რომ მისი  
ცნობაა საჭირო და არა ხელახალი თარგმნა. ჩვენ არ გვესმის, რატომ  
ეჩოთირებათ ალ. ბარამიძეს და დ. კობიძეს ეს ერთი სპარსული სიტყვა  
XII საუკუნის ქართულ ძეგლში? განა „ვისრამიანში“ ერთი და ორი,  
გინა ათი სპარსული სიტყვა? განა „ამირანდარეჯანიანში“ მთელი წინა-  
დადება არ იკითხება სპარსული: იე ქ ჩე შ მ ე მ ნ ე ს თ-ო („ცალი თვალი

<sup>13</sup> იუსტინე აბულაძე, ვისრამიანი (რეცენზია გამოცემაზე), თბილისის უნი-  
ვერსიტეტის შრომები, XXVII, 1946, გვ. 87. შემდეგში: იუსტ. აბულაძე, რე-  
ცენზია.

<sup>14</sup> ალ. ბარამიძე, ვისრამიანის ახალი გამოცემა, გვ. 171.

<sup>15</sup> იმვე, გვ. 171—172.



არა მაქვს<sup>16</sup>, მაგრამ ამით რა დაშავდა? განა იგი უნდა ამოვავლოთ და მისი ქართული თარგმანით შევცვალოთ? იუსტინე აბულაძემ უფრო სხვა მაგალითების საფუძველზე, ვიდრე მოაბაღია, წამოაყენა მეტად საინტერესო შეხედულება „ვისრამიანის“ თარგმანის ისტორიისა. ამ შეხედულებას ალ. ბარამიძე ბუნდოვანს უწოდებს და არ იზიარებს, მაგრამ ერთ არგუმენტსაც ვერ იშველიებს იუსტინე აბულაძის მეცნიერული ვარაუდის წინააღმდეგ. ჩვენ აქ არ გვესმის ალ. ბარამიძისა: „არა! პროფ. იუსტ. აბულაძემ დააბნელა ვისრამიანის თარგმანის ისტორია. მან მრუდედ ახსნა ვისრამიანის ქართული ტექსტის თავისებურებათა წარმოშობილობა, ქართული მხატვრული პროზის უძვირფასესი განძი ქართულის უცოდინარი სპარსელი მუსლიმანის შემოქმედებით ნაყოფად გამოაცხადა“ (გვ. 172). ისე უკვირებს მეცნიერი იუსტინე აბულაძეს: „ვისრამიანის“ თარგმანის ისტორია დააბნელო, თითქოს ასეთი ისტორია ზეპირად ვიცოდეთ. გარდა ამისა. ალ. ბარამიძე მთლად ზუსტად არ გადმოგვცემს განსვენებული მეცნიერის აზრს. იუსტინე აბულაძე იმასაც ვარაუდობდა, რომ პოემა ქართულად თარგმნა სპარსეთში ნამყოფმა (ე. ი. სპარსული ყოფისა და ენის ზედმიწევნით მცოდნე) ქართველმა და მერე რედაქცია გაუკეთა სპარსულის არ მცოდნე ქართველმა<sup>17</sup>. ალ. ბარამიძეს ასეთი ისტორია თარგმანისა, როგორც ვნახეთ, მიუღებლად მიაჩნია. რატომ? განა ქართული პროზის შედევრი „ქილილა და დამანა“ ასე არ შეიქმნა? ვახტანგ მეფემ, სპარსული ენისა და ყოფის მცოდნემ, მისი პწკარედი გააკეთა, ხოლო საბამ გაჩალხა იგი. თუნდაც განსვენებული მეცნიერის მეორე ვარაუდი ავილოთ (იგი უფრო საგულგებლად მიაჩნია ავტორს): შეიძლება პირველი თარგმანი ქართულის მცოდნე სპარსელის მიერ იყოს შესრულებულიო. ჩვენი აზრით, არც ეს ვარაუდია ადვილად ხელწამოსაკრავი. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე „ქილილა და დამანას“ მივმართავთ: მისი ერთი (A) რედაქციის უმეტესი ნაწილის თარგმანი, როგორც ეს ალ. ბარამიძეს სხვებზე უკეთ მოეხსენება, არაქართველთ, სომეხ და სპარსელ ანონიმთ ეკუთვნით. ასე რომ იუსტინე აბულაძის ახსნა დიდაც მეცნიერულია და მას არც არაფერი დაუბნელებია აქ, რადგან, ვიმეორებთ, სანამ თვითონ არ მოჰყენდა ამ საკითხს შუქს, ნათელი არაფერი ყოფილა. ვფიქრობთ, არ შევმცდარვართ, იუსტინე აბულაძის გასწორება რომ გავიზიარეთ ჩვენს გამოცემაში.

გასკვნით. ტექსტი ასე უნდა აღდგეს (უკვე ვსვამთ სასვენ ნიშნებს): „მე მახესა დაბმულსა კაკაბსაც ვებრალეები შენისა სიშორისათვის შექირ-

<sup>16</sup> მოსე ხონელი, ამირანდარეჯიანი, გამოსაკემად მოაშხადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბილისი, 1967, გვ. 102, 6.

<sup>17</sup> იუსტინე აბულაძე, რეცენზია, გვ. 98.



ვებულო. თუ რა ჭირი გინახავს, მაბადა! — შენ ლხინი გმართებს და სიხარული“<sup>18</sup>.

6. „ვისრამიანის“ სპარსულ ტექსტში ერთგან ვკითხულობთ:

یکی را گوته شد هم رنگ دینار  
یکی را چهره شد مانند گلنار (۶۸ ، ۲۹)

„ერთს ფერი გაუხდა დრაჰკანის მსგავსი,  
მეორეს სახე ექცა ბროწეულის ყვავილივით“.

ავტორს ამით უნდა თქვას: ჯაბნებს ომის ემინოდათ და დრაჰკანის (ოქროს მონეტის, დინარის) მსგავსად გაყვითლდნენო და სხვ. ქართულად აზრი ასეა გადმოცემული: „გულთანსა პირი ბროწეულისა ყუავილსა უგუანდის და ჯაბანსა სიყუითლითა—დრიანკალსა“ (II გამოც., გვ. 24). ორიგინალის რანაი („დინარი“), რასაც „ვისრამიანივე“ სხვაგან დრაჰკანს უწოდებს, ამ ადგილას ქართულ გამოცემებსა და ხელნაწერებში დრიანკალითაა შეცვლალა. ნიკო მარი პირველი იყო, ვინც ეჭვი გამოთქვა: აქ დრიანკალის ნაცვლად დრაჰკანი ხომ არ უნდა გვქონდესო. იგი წერდა: „Само слово для выражения „динара“ на грузинском языке существовало: это drakhani-i, оно появляется, как будто, и в тексте Vis-Ramiani“<sup>19</sup>.

მაგრამ ნ. მარმა განსაკუთრებული ყურადღება სხვას მიაქცია: იქ სადაც სიყვითლეზეა ლაპარაკი, ორიგინალში დინარი იკითხება, ხოლო შესატყვის ადგილას ქართულში დრიანკალი გვხვდებათ<sup>20</sup>. მანვე პირველმა, ვიმეორებთ, გამოთქვა ეჭვი: დრიანკალი დამახინჯებული

<sup>18</sup> იუსტინე აბულაძის მოსაზრებას მ ა ბ ა დ ა ს თაობაზე შეეხო დავით კობიძეც, რომელმაც, როგორც ამას ალ. ბარამიძე იშველიებს რეცენზიაში (გვ. 172), რატომღაც II გამოცემისეულ ახსნას მეცნაურული უწოდა, ხოლო აბულაძისეულს—არამეცნიერული. ის წერს: „პროფ. იუსტ. აბულაძის აზრით, სიტყვა „მაბადა“ თავდაპირველ თარგმანში ყოველა შესული იმავე ფორმით, რომელიც თურმე ასე უცვლელი დღემანს რჩებოდა ჩვენი ძველის ტექსტში და ვინმე რესტავრატორს ან გადამწერს დაუნახავს მასში შეცდომით შაჰის საკუთარი სახელი „მოაბად“ და გაუზრბებია ეს ადგილი თავისებურად. ეს არას არამეცნიერული ახსნა“ (?). დ ა ვ ი თ კ ო ბ ი ძ ე, ფილოლოგიური შენიშვნები, მნათობი, 1949, № 3, გვ. 188. დ. კობიძე ამ თემას ერთხელ კიდევ შეეხო თავის სტატიაში „ვისრამიანის საკითხები“, მაგრამ აქ ახალა ან მნიშვნელოვანა არაფერი უთქვამს. მისი დასკვნა ასეთია: „ყველას თავისა აზრი და ტექსტს გაგებას უნარი აქვს, მაგრამ მე მგონია, რომ მაბადა ამ ადგილისათვის ისევე შეუფერებელი და უადგილოა, როგორც მოაბად“ (გვ. 42).

<sup>19</sup> Н. Марр, Из грузино-персидских литературных связей (Записки коллегии востоковедов, т. I. Лен., 1925, гв. 135).

<sup>20</sup> იქვე, გვ. 136.

დრაჰკანი ხომ არააო („...и если это не по смешению несколько схожих в грузинском драхкани и лрианкаლი<sup>21</sup>). ჩვენ დავადასტურეთ ნ. მარის შესანიშნავი ვარაუდი და აქ დრაჰკანი აღვადგინეთ, რადგანაც ორიგინალის დინარი (დონარი) თარგმანში ყოველთვის დრაჰკანადაა გადმოტანილი. იქვე აღვნიშნეთ, რომ ეს გასწორება ნ. მარს ეკუთვნის (გვ. 329).

ბევრ ჩვენს ოპონენტს<sup>22</sup>, და მათ შორის ალ. ბარამიძეს, არ მოსწონს ეს დრაჰკანი, ისინი ღრიანკალს რჩეობენ. ალ. ბარამიძე წერს: ნ. მარს ქართული ტექსტისათვის ხელი არ უხლია, ტექსტს ახალი გამოცემის რედაქცია ასწორებსო. ნ. მარს „ვისრამიანი“ არ გამოუტია, ჩვენ არ ვიცით, ძეგლი რომ გამოეცა, ამ ადგილს როგორ გამართავდა იგი, მაგრამ ის ხომ ვიცით, რომ რაკი ასეთი წაკითხვა ვარჩიეთ, მისი ავტორი ნ. მარია და არა ჩვენ.

რეცენზენტი აღნიშნავს: „ვისრამიანისათვის ღრიანკალი საყვარელი სამეტაფორო სიტყვაა, რომელსაც ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ კონტექსტშიაც ვხვდებით. სანიმუშოდ მივუთითებთ, რომ დედნის „ტანჯვის ისარი“ (თირე ჯაფაიათ) თუ „ტანჯვის მახვილი“ (თიღე ჯაფაიათ) ქართულში გადმოცემულია, როგორც „სიმორისა ღრიანკალი“. მით უფრო მოსალოდნელია დრაჰკანის სანაცვლოდ ქართველ მთარგმნელს ეხმარა სიტყვა ღრიანკალი. სიყვითლის გამოსახატავად ღრიანკალი შესაფერისიაო“ (გვ. 173—174). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ღრიანკალის ძირითადი ნიშანი კბენაა და იგი, ნესტარიანი ღრიანკალი, ისრის სანაცვლოდ უფრო ბუნებრივია ეხმარათ, ვიდრე ყვითელი ოქროს სანაცვლოდ. (შდრ. „ვისრამიანშივე“: „თმობასა შიგან სიმორისა შეჭირვებითა ესრე დაყუთლებულვარ, ვითა დრაჰკანი. 234,37. ორიგინალში აქაც დონარი იკითხება (მ. 301,1 زردی همی مان بدینار)

7. რამინმა ვისი დაგდო და გორაბში ერთი წარჩინებული გვარის ქალი, სახელად გული, გაიცნო. აქ აბზაცით იწყება ფრაზა: „რამინს ესრე შეუყვარდა, რომელ ვისის გული და სიყუარული დავიწყებოდა“ (II გამოცემა, 184). აქ ორი რამ არის საჩოთირო: 1) ვინ შეუყვარდა? თუ გვეტყვიან, საერთოდ გამიჯნურდაო, სწორი არ იქნება, რადგან ქართული შემასმენელი შეუყვარდა დამატებას მოითხოვს. ეს უხერხულობა იგრძნო III გამოცემის რედაქტორმა ივანე ლოლაშვილმა და აქ

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> კ. ფაღავა, „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა. მნათობი, 1962, № 12, გვ. 181; მ. ჯაყელი, „ვისრამიანის აკადემიური გამოცემა“, თბილისი, 1962, 15 მისი.

კვლად ურჩხილებში გულ ჩასვა<sup>23</sup>. 2) განა ქართულად ვიტყვით ან იტყოდნენ ძველად: იმისი გული დაავიწყდაო. ხოლო მისი სიყვარული დაავიწყდაო, ითქმის. ასე რომ გულ მეორე წინადადებაში ზედმეტი ჩანს, ხოლო პირველ წინადადებას აკლია. ეს გული რამინის ახალი სატრფოს სახელია. ჩანს, გადამწერებმა იგი ვერ გაიგეს როგორც ქალის საკუთარი სახელი და ადამიანის გულად გაიაზრეს. ხოლო რაკი ასე გაიგეს, სხვაგან ვერ მოუნახეს ადგილი, თუ არა ვისთან, იგი სიყვარულის ჯუფთად აქციეს. ივანე ლოლაშვილის ვარაუდით, რომ პირველ წინადადებას აკლია გული, მართალია, მაგრამ ის სწორი არაა, თითქოს ეს გული მეორე წინადადებას სჭირდებოდეს. ჩვენ ტექსტი ასე გავშართეთ „რამინს ესრე შეუყვარდა გული, რომელ ვისის სიყვარული დავიწყებოდა“ (188,31).

მიუხედავად ამისა, ალ. ბარამიძე გასწორებას გვიწუნებს: „გვიქრობთ, რომ ტრადიციული ტექსტი შესწორებას არ საჭიროებს, შინაარსი ისედაც გასაგებია, ხოლო ფრაზის სიტყუიერი წყობა ბუნებრივიაო“ (გვ. 164).

8. ტრადიციულ ტექსტში იკითხებოდა: „სხუა ტელი არ იცის ბურთობისა, ნადრობისა და დიდებულთა თანა სუმისაგან კიდე“ (II გამოცემა, გვ. 107). ორიგინალსა (199, 12) და სამ ქართულ ხელნაწერში (H—218, H—222, H—2216) ღვინის სუმისაგან იკითხება. გამოკვლევაში ვწერდით, რომ სიტყვა ღვინის გარეშეც საზოთირო არაფერია, რადგან სმა ღვინის სმას ნიშნავს (გვ. 365), მაგრამ ორიგინალისა და ქართული ხელნაწერების წაკითხვათა დამთხვევას არ შეიძლება ანგარიში არ გაეუოს. ალ. ბარამიძე არ გვეთანხმება ღვინის აღდგენაში. იგი ზედმეტია, ვეუზისტყაოსანიაც სმა ღვინის სმას ნიშნავსო. მას მოაქვს სათანადო ადგილები „ვეუზისტყაოსანიდან“ (386,3; 1217,4; 787,1) და ასკვნის: „აქედან აშკარაა, რომ „ღვინის სმისაგან კიდე“ შემდეგდროინდელი გლოსაა, რომელიც ვითომცდა გონებამახვილ ვილაც მწერალს—მწიგნობარს შეუტანია ტექსტში, დამოწმებულ თავდაპირველ რედაქციაში შესასწორებელი არაფერიაო“ (გვ. 165). რეცენზენტს „ვეუზისტყაოსანიდან“ საგანგებოდ კი მოაქვს სათანადო ადგილები, მაგრამ რატომღაც ავიწყდება, რომ იმავე „ვეუზისტყაოსანში“ ასეთი სტრიქონებიც იკითხება: „ვითა ჰმართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ ღოსა“ (1758,4); „ღვინო-სმული, მხიარული დაწვა, ამოდ დიძინა“ (1259,2); „მაღლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინო-სმული“ (1559,4).

9. რამინი ისევ დაუბრუნდა ვისს და შენდობა თხოვა. ის მთელი დამე დგას თოვლსა და ბუქში და ემუღარება ვისს: შემირიგეო, მაგრამ

<sup>23</sup> ჩვენის საუნჯე, ტ. II, თბილისი, 1962, გვ. 172.

შეურაცხყოფილი ქალი უარს ეუბნება: ნუ მეხვეწები, შენ მე ისე გამაწი-  
რე, რომ არ გაპატიებო. ყველა გამოცემასა და ხელნაწერში იკითხებოდა:  
„აწ ნულარას მემდურები, ერთხელ მომალორე, მომკალ და მომაყი-  
ნე, აწ კულა მასვე ჰლამი და აღარ ეგების“ (II გამოცემა, გვ. 245).  
რამინის ხვეწნა-მულარას ათ გვერდზე მეტი უჭირავს.

სანამდის ასეთ პასუხს ვაცემდა, რამინმა „ათასითა მუდარითა  
ქენება დაუწყო“ (242,32). ვისს „ჩემი ესრე შეხუეწით აქ მომყუ-  
ანელი“ უწოდა (243,8). ეუბნებოდა: „მუნამდის გემუდარები და  
გექენები, ვირემლი გულისა შენისაგან წყრომა არ გაქარდეს“ (244,13).  
„თუ ჩემი ქენება და მუდარა არ მოისმინო, აქა შენსა კარსა ზედა  
მოვკუდები“ (244,21). „ნუგის ათქუმეგ, თუ მეტი მუდარა ძაბუნიაო“  
(245,11). ხოლო სამდურაეი მას არ დასცდენია. ორიგინალში ვისი რა-  
მინს პასუხობს: „ნუ მემუდარებიო“ (مکن خواش) (3, 134)  
ქართულის მემუდარები გრაფიკულად ადგილად ექცეოდა ფორმად  
მემდურები, ამიტომ აღვადგენთ ამ პირველ ფორმას, წინააღმდეგ  
აღ. ბარამიძის მოსაზრებისა.

10. მეორე გამოცემაში იკითხებოდა: „შენგან გულსა შენი სახე  
ოდენ დამჩომია და სიშორისაგან სნეულსა შეჭირვება“ (გვ. 211).  
ი. ლოლაშვილმა Q—355 ხელნაწერის მიხედვით ეს ადგილი ასე გამარ-  
თა: „შენგან უგულოსა შენი სახე ოდენ დამჩომია“ (ჩვენი საუხუე,  
II, გვ. 193). ორიგინალშია:

ز دیدارت مرا تیمار ماندست

ز تیمارت دل بيمار ماندست (378, 32)

„შენი სახისაგან მე ტკივილი დამჩოა,  
შენი ტკივილისაგან წყლული გული დამჩოა“.

ორიგინალში უგულო არაა, სამაგიეროდ არის ის, რაც თელავურ  
ნუსხას დაუცავს: დაგული, დამწუხრებული, ავადმყოფი და მისთ.  
თელავურ ხელნაწერს უნდა დაეუჯეროთ, იგი ორიგინალს უჭერს მხარს.  
თავისთავად შენგან უგულოსა სწორ ფორმად არ მიგვაჩნია, რად-  
გან უგულო „ვისრამიანსა“ და აღმოსავლურ ლიტერატურაში შეყვარე-  
ბულს ნიშნავს (ასეთი გაზრებით: შეყვარებულს სატრფომ გული წაარ-  
თვა). აღ. ბარამიძე არც ი. ლოლაშვილის გასწორების მომხრეა, არც  
ჩვენი, მეორე გამოცემის წაკითხვას რჩეობს, მაგრამ ჩვენს გასწორებას  
უფრო იწყნარებს. მის ყურადღებას იქცევს სხვა რამ, სქოლიოში გა-  
მოთქმული ჩვენი შენიშვნა, სადაც ვწერთ, რომ უგულო „ვეფხისტყაო-  
სანშიც“ შეყვარებულის მნიშვნელობით იხმარება. იგი კატეგორიულად

უარყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 847, 848, 1204 სტროფებში უგულო შეყვარებულს ნიშნავდეს. აი ეს ადგილები:

ტარიელზე ასმათი ამბობს: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიო“ (848). ალ. ბარამიძე აცხადებს, აქ უგულო იმას ნიშნავს, რომ ტარიელი აღარ ფლობს გულს, მას გული წასვლია და ამიტომაც უგულოა (გვ. 166). მაგრამ განა ტარიელი უგულო იმიტომ არაა, რომ შეყვარებულია, რომ მას გული სიყვარულმა წაართვა? მეორეგან იკითხება (ტარიელზეა ლაპარაკი):

„არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?  
იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა“ (847).

უგულო აქაც შეყვარებულის ეპითეტია. ჩვენ ლექსიკურ ადექვატურობაზე არ გვაქვს საუბარი, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ უგულო აქ შეყვარებულს ნიშნავს, მისი ეპითეტია (და არა სინონიმი). ამ მაგალითის რატომღაც არ განიხილავს ალ. ბარამიძე (თავში კი გვპირდება, სამივე დასახელებულ ადგილს გავარჩევო).

თითქმის უფრო დამაფიქრებელია მესამე ადგილი: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ (1204, 4). რეცენზენტს მიაჩნია, რომ აქ უგულობა ყალბ სიყვარულს გულისხმობს. საეჭვოა. უნდა გავიხსენოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი რომანია, სადაც შეყვარებულნი მუდამ სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან. გავიხსენოთ მაჯნუნი. იგი იქამდე მიიყვანა სიყვარულმა, რომ ხალხის გასართობი გახდა. იგივე რამინი გავიხსენოთ. ეს ლამაზი, დარბაისელი უფლისწული, დიდი პოლიტიკური პერსონა (ირანის იმპერიის ტახტის მემკვიდრე) სიყვარულმა ხალხის ყბაში ჩააგდო. ბოლოსდაბოლოს, გავიხსენოთ თვითონ ტარიელი. ინდოეთის ამირბარი და მისი ტახტის ერთი მემკვიდრე ველად გაიქრა, მხეცებში ვაერია, კლდე-ღრე დაძრწოდა, ტიროდა და მოთ ვამდა. განა ეს საქციელი მაშინდელი არისტოკრატიული მორალის თვალსაზრისით მოსაწონი იყო? დაბოლოს, გავიხსენოთ ისიც, რომ შეყვარებულს მიჯნურს უწოდებენ, ხოლო „მიჯნური შმაგსა გვიქვა არაბულითა ენითა“. სიშმაგე კი დიდაც იყო კაცის დასვრა, ისე როგორც ქალისთვის მეძაობა არაა სახელი. რეცენზენტი გვიმტკიცებს: „სიყვარული რუსთაველის კონცეფციით, აღამიანს კაცობას როდი უკარგავს, პირიქით, სიყვარული ამოღებს, ადიდებს, ასალკლდეებს, გოლიათურ მორალურ ძალას მატებს და ქეშმარიტ გმირად ხდის მიჯნურს“ (გვ. 167). სიტყვას არ მოუტანია და ამ აზრის საწინააღმდეგო ჩვენ არსად გვითქვამს რამე. ჩვენს აზრს, რომ ტარიელი მიჯნურობის გამოა უგულო (ბოლოსდაბოლოს, სხვა რა უჭირდა მას, რომ უგულო ყოფილიყო და ასმათს ასეთი ეპითეტით ესხენებინა იგი) ეს კონცეფცია არ ეწინააღმდეგება. დავქვენთ, რომ მთლად



ისეთი სურათი როდი გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ალ. ბარამიძე გვიხატავს. ავთანდილი შეგვახსენებს: მოციქულთ უთქვამთ, სიყვარული აღგვამაღლებსო, მაგრამ სიყვარულით ამაღლება იერარქიულ აღზევებას ან ბიურგერულ ჰუმანიზმს როდი გულისხმობს. ნეზამისთვის, როგორც ნეოპლატონიკოსისთვის, მაგალითად, სიყვარულით ამაღლება ესაა იდეალი, რომელსაც ქმნილება ყოველგვარი ამქვეყნიურობისაგან თავის დახსნის, ოთხთა ნივთთა უარყოფის, შედეგად აღწევს (მდრ. ნესტანი: „ღმერთსა შემგედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“. 1304, 1—2). ნეზამი ასკვნის: *مجنون که بلند نام عشق است* „მაჯნუნი სიყვარულის მაღალი სახელიაო“ (გვ. 78, *لیلی و مجنون*). ყოველთვის როდი გვახსოვს ტარიელი (თუნდაც იგივე ავთანდილი) გასალკლდევებული და გოლიათური ძალის მქონე. იგი ხშირად მოთქვამს და არცთუ იშვიათად მისდის გული.

11. „ვისრამიანის“ ორიგინალში მოაბადი უწყრება ძიძას, ვისი ცუდად გაგიზრდიაო. ეს იმიტომ, რომ შენ ხუზისტანელი ხარ, ხოლო „რა ხუზისტანელი ძიძად [და] რა ბრმა გუშავადო“.

چه خوزانی بگاہ دایگانی

چه نایبنا بگاہ دایدبانی (179, 25)

მეორე გამოცემაში ვკითხულობთ: „ხუზისტანელი ძიძა და ბრმა გუშავად სწორნია“ (გვ. 88). აქ ხუზისტანელი ძიძა ბრმა გუშავსაა შედარებული, სინამდვილეში კი წინადადებაში ხუზისტანელი მსაზღვრელი კი არაა, არამედ ქვემდებარეა. აქ გვაქვს პარალელური წყვილები: ხუზისტანელი—ძიძად, ბრმა—გუშავად. გადამწერი, ჩანს, ორი დონის მეზობლობამ დააბნია. თუ როგორ ადვილად შეიძლებოდა აქ მათ შეცდომა მოსვლოდათ, ჩანს ალ. ბარამიძის მაგალითიდანაც, რომელსაც უნდა თქვას ჩვენზე: ტექსტს ასე ვკითხულობენ: „ხუზისტანელი ძიძად და ბრმა გუშავად სწორნიაო“, ხოლო სინამდვილეში მის სტატიაში იკითხება: „რედაქცია ტექსტს ასწორებს ორიგინალზე დამყარებით: „ხუზისტანელი ძიძა და ბრმა გუშავად სწორნია“ (გვ. 162). ასოთამყობის შეცდომა, ზემონახსენები მიზეზის გამო, თავადაც გამოპარვია.

12. „ვისრამიანის“ ტრადიციულ ტექსტში გვხვდებოდა რუბრიკები: „არაკი“, „შეგონება“, „ჰუქუმათი“ (ალბათ, „ჰექმათი“ ‘სიბრძნე’), „განგება ღმრთისა და შეგონება“. ჩვენ ისინი ამოვარიდეთ ტექსტს. (თუმცა ა. გვახარია ამის წინააღმდეგი იყო). ალ. ბარამიძის აზრით, ქართული „ვისრამიანი“ სპარსული დედნის ტრადიციას უდა გამოხატავდეს, მთარგმნელს ორიგინალიდან უნდა გადმოეღო ეს რუბრიკები (გვ. 179). ასეთი

რუბრიკები „ვისრამიანის“ ორიგინალის არც ერთ ხელნაწერსა და გამოცემაში არაა. კიდევ მეტი, როგორც ჩვენს შრომაში ვწერდით, ასეთი რუბრიკები არ უნდა ჰქონოდა პოეტურ ნიმუშებს („ვისრამიანის“ ორიგინალი პოემა), პოეზიას იგი დღემდე არა აქვს, ხოლო პროზას გვიან გაუჩნდა<sup>24</sup>. თუ ალ. ბარამიძეს არა თუ „ვის-ო რამინში“, არამედ სხვა რომელსამე სპარსულ პოემაში რაიმე ასეთი ფაქტი ვგულებ, უნდა თქვას.

13. „ვისრამიანის“ მეორე გამოცემაში გვხვდება კორექტურული შეცდომები (სამწუხაროდ, ცოტა არაა იგი ჩვენს გამოცემაშიაც). ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ისეთ კორექტურულ შეცდომებს, რომლებიც III გამოცემაშიაც მეორდება, ზოგ ხელნაწერებშიც გვხვდება და, ამავ დროს, გააზრებულ სიტყვას ქმნის. ასეთ ადგილებს რომ ვეხებოდით, აღვნიშნავდით კიდევ: შეიძლება, ეს კორექტურული შეცდომა იყოს, მაგრამ რადგან შეცდომის შედეგად მიღებული ფორმით აზრი გამოდის, ყოველ შემთხვევისათვის დედანსა და ხელნაწერებს ვიშველიებთ. ალ. ბარამიძე წერს: „ეტიყობა, რედაქცია ყოველ შემთხვევისათვის ვაკვრით ახსენებს „კორექტურას“, არსებითად კი მკითხველს არწმუნებს, რომ დაშვებულია სერიოზული შეცდომა და ასაბუთებს ამ შეცდომის გასწორების საჭიროებას. ვფიქრობთ, რედაქცია ღია კარებში იჭრება და ტყუილად ირჩება გამოგონილი შეცდომების გასასწორებლად“ (გვ. 169). „ახალი გამოცემის რედაქტორები მოჩვენებით სიფრთხილეს იმიტომ იჩენენ, რომ მკითხველები დაარწმუნონ მეორე გამოცემის რედაქტორთა პრინციპული შეცდომის არსებობაში და ვითომც ამის საფუძველზე უცილობელს ხდიან შეცდომის გასწორების საჭიროებას. აჯობებდა კია რედაქციას გამოეყო სპეციალური განყოფილება (კორექტურულ შეცდომათა გასწორებანი) და ეს შემთხვევაც იქ დაემოწმებინა“ (გვ. 171).

II და III გამოცემებში იკითხება „ჰე, საგედარო, თმისაებრ მაგარო და პოლოსაებრ ძლიერო“ (II გამოცემა, გვ. 250; III გამოცემა, გვ. 225). თმისაებრ იკითხება უმრავლეს ხელნაწერებშიც. ყოველ-

<sup>24</sup> P. M. Алнев, „Гюлистан“ Са'ди и критика текста. Ученые записки Института востоковедения, XIX, гв. 151. რ. ალიევის მოსაზრებასთან დაკავშირებით სინტერესოა ბადრი ნთნბნდს მიერ ამ ორიოდ წლის წინ ირანში გამოცემული „გოლესთანი“, გადაწერილი სა'ადნს სიცოცხლეშივე მწყუთ მოსთა'სემნს მიერ گلستان سعدی، بخط یاقوت مستعصمی، بکوشش بدری آتابای، تهران، ۱۳۲۶ სადაც ასეთი რუბრიკები არის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „გოლესთანი“ ლექსნართავი პროზაა და არა მესნევი.

გვარი ექვის გასაფანტავად<sup>25</sup> ჩვენ ფრჩხილებში მოვიტანეთ ორიგინალის წაკითხვა, რაც ასე აღაშფოთებს ხოლმე რეცენზენტს: რა საჭირო იყო ამისათვის დედნის მოხმობა და მსჯელობა, ისედაც ცხადია, რომ კორექტურული შეცდომათა (გვ. 169—170). ისედაც ცხადი კია, მაგრამ რადგან ვიცოდით, რომ ზოგჯერ თვითონ ალ. ბარამიძე იცავს ხოლმე ასეთ მცდარ წაკითხვებს (გაეხსენოთ: თ მ ა თ ა — თ ქ მ ა თ ა), იძულებულ ვიყავით ასეთი შენიშვნებიც გაგვეკეთებინა. არსად გვიწერია, დაშვებულია სერიოზული შეცდომათა, წიგნში არსად ამისი ნართაულიც არაა. განვიხილოთ რეცენზენტის მიერ მოხმობილი მეორე შემთხვევა. იქ ჩვენ საგანგებოდ არც გავჩერებულვართ ასეთი შეცდომების გასწორებაზე, საქმე ეხებოდა უფრო სერიოზულ შეცდომას იმავე წინადადებაში. კერძოდ, II გამოცემაში იკითხებოდა: „რ ა ო დ ე ნ გ უ ლ ის ა წ ა მ ლ ე ბ ე ლ ი ვ ის ი მა შ ო რ ა ვ ს, ო მ ო ბ ა ს ა შ ი ვ ა ნ ს ი შ ო რ ის ა შ ე კ ი რ ვ ე ბ ი თ ა ე ს რ ე და ყ უ ი თ ლ ე ბ უ ლ ვ არ, ვ ი თ ა დ რ ა ჰ კ ა ნ ი“ (გვ. 241)<sup>26</sup>.

ორიგინალის (წ 1 ა , 9 9 ა — ‘არა’) თარგმანის პირველი გამოცემის (გვ. 334) და S—17, S—27, S—96 ხელნაწერების (ესენი კი საუკეთესო ნუსხებია) მოშველიებით გაირკვა, რომ აქ რ ა ო დ ე ნ კ ი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ არ ა ო დ ე ნ . რამინი მოთქვამს: არათუ ვისი მომშორდა, არამედ მასთან ერთად მოსვენებაც დავკარგეთ. ფრაზა ასე გავმართეთ: „არ ა ო დ ე ნ გ უ ლ ის ა წ ა მ ლ ე ბ ე ლ ი ვ ის ი მა შ ო რ ა ვ ს, თ მ ო ბ ა ს ა შ ი ვ ა ნ ს ი შ ო რ ის ა შ ე კ ი რ ვ ე ბ ი თ ა ე ს რ ე და ყ უ ი თ ლ ე ბ უ ლ ი ვ არ, ვ ი თ ა დ რ ა ჰ კ ა ნ ი“. ალ. ბარამიძე გვასწავლის: „ფრაზა ბუნებრივად მოითხოვს სიტყვას არამედ“, უამისოდ „გასწორება უმართებულთა, ფრაზას ბუნებრიობა ეკარგება და ვლებულობთ უაზრობას“ (გვ. 170). რეცენზენტს უნდა მოვახსენოთ, რომ კავშირი არამედ აქ სავალდებულო არაა. მაგრამ დავუშვათ და იყოს ასეც, როგორც რეცენზენტი ფიქრობს, ვიკითხოთ: რას ნიშნავს აქ რ ა ო დ ე ნ ? პასუხი არ ჩანს. როგორც ვხედავთ, ჩვენი გასწორება ექვს არ იწვევს.

აი, აქ, ამ ადგილზე მსჯელობისას სხვათა შორის, გზად, აღვნიშნეთ, რომ უნდა იკითხებოდეს თ მ ო ბ ა ს ა და არა ო მ ო ბ ა ს ა , ვგულისხმობ-

<sup>25</sup> და ეს ექვი შემთხვევითი არ არის. თმა, რომელიც მარტო აღმაინის თმას კი არ ნიშნავს, არამედ ცხოველისასაც, ძველთაგანვე ცნობილი იყო. როგორც გამძლე მასალა, დღესაც ზოგი დეტალი თმისაგან კეთდება და არა ლითონებისაგან, რადგან ის მავარია და უფრო დამყალი. ამავე დროს, გაეხსენოთ ბიბლიური სამსონის თმაც: თმა ამირანის ზღაპარში, როგორც ამ გმირთა ძლიერების სიმბოლო.

<sup>26</sup> დიახ, დ რ ა ჰ კ ა ნ ი და არა დ რ ი ა ნ კ ა ლ ი . მაგრამ ეს უკვე ჩვენი გასწორება არაა, მთარგმნელისეულია და ალ. ბარამიძეს უნდა უკვირდეს: რა ტომ შეადარეს ყვითელი პირი დ რ ა ჰ კ ა ნ ს, ოქროს მონეტას, და არა დ რ ი ა ნ კ ა ლ ს . აკი დ რ ი ა ნ კ ა ლ ი უყვარს „ვისრამიანის“ მთარგმნელს.

დით რა იმას, რომ ომობას შეიძლებოდა ვინმე შეცდომაში შეეყვანა, რადგან იგი გარკვეული მნიშვნელობის მქონე ცნება გამოდის. რა დავა-შავეთ ამით, ვეკითხებით პატივცემულ რეცენზენტს, სად ვარწმუნებთ მკითხველს, რომ „დაშვებულია სერიოზული შეცდომა“?

14. ვეხებით ერთ უსაფუძვლო ბრალდებას, რომელიც ალ. ბარამიძემ წამოგვიყენა. როგორც ცნობილია და ჩვენს შრომაშიაც ყოველ ნაბიჯზე ჩანს, „ვისრამიანის“ ტექსტზე მარტო ჩვენ და ალ. ბარამიძეს როდი ვემუშავებთ, მის ამა თუ იმ ადგილის წაკითხვასა და გაგებაზე გარდა მათი გამოცემლებისა უფიქრიათ: ნ. მარს, იუსტინე აბულაძეს, ს. იორ-დანიშვილს, ილია აბულაძეს, დ. კობიძეს, მ. მამაცაშვილს, ი. კალაძეს და სხვებს. ქართულ „ვისრამიანს“ ორიგინალს რომ ვუდარებდით და მის ტექსტს რომ ვაგმართავდით, ბუნებრივია, ჩვენ ვიშველიებდით ყველა ქართულ ხელნაწერს და მეცნიერებაში არსებულ შეხედულებას ამა თუ იმ ადგილის წაკითხვისა და გაგების თაობაზე. ზოგ მათგანს ვუ-ჭერდით მხარს, ზოგს — არა. მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა მათგანს, ვინმოდით კი. ქეშმარიტების დადგენა ზოგჯერ უამბისალებოდ, მარ-ტო ორიგინალისა და ქართული ხელნაწერების მოშველებითაც შეიძ-ლებოდა, მაგრამ მეცნიერული სინიღისი გვიკარნახებდა, ყოველთვის ად-გვენიშნა სხვისი ლაწლიც, მიგვეთითებინა, რომ ესა თუ ის ადგილი ჩვე-ნამდე სხვებსაც ესმოდათ სწორად. ჩვენს ხელთ იყო დედნის სამი ნუსხა, 21 ქართული ხელნაწერი და არც თუ ისე მდიდარი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებანი ჩვენი წინამორბედი მეცნიერებისა. ამის გამო, რომ ზოგ მკვლევარს დედანთა ნუსხეებზე არ მიუწვდებოდა ხელი, ზოგჯერ ქართული ხელნაწერები არ ჰქონათ სრულად მოხმობილი და სხვ., მათი ბევრი გასწორება დამაეჭვებელა და დაუშაბუთებელა იყო. ხშირად აქ გუმანი ქარბობდა დოკუმენტურ მტკიცებას. და სანამდის ყველა არსებული საშუალებანი (ორიგინალი, ხელნაწერები, პარალელები სხვა კლასიკური ხანის ძეგლებიდან და სხვ.) არ იქნებოდა გამოყენებული, ასეთი გასწორებანი და შენიშვნები ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. გარკვეული მიზეზებისა გამო ჩვენ უკეთეს პირობებში აღმოვჩნდით (ეს მიზეზები ობიექტური არ იყო: ორიგინალის ორი ნუსხა და ყველა დღესდღეობით ცნობილი ქართული ხელნაწერი აღრე არსებობდა, მაგრამ ისინი მთლიანად არავის გამოუყენებია). ტექსტის გამართვის ასეთი მეთოდი გვექონდა: ყველა, ჩვენ, თუ სხვის მიერ გასწორებულ ადგილს გამოკვლევის სახით დაწერილ კომენტარებში ვარჩევდით (ის ერთვის ტექსტს). თვალ-საჩინოებისა და პუნქტულობისათვის, როგორც ეს საერთოდაა მიღებული, მათ ვნომრავდით. რაც სხვისი იყო და მართებულად მიგვაჩნდა, იმაზე გამ-ბობდით: ამა და ამ მკვლევარის აზრია და ამიტომ ვიზიარებთო, ხოლო რაც სხვისი იყო და არ მოგვწონდა, ამასაც სათანადოდ ავღნიშნავდით. მაგრამ მთელს ამ შევიდასგვერდიან გამოცემაში არსად გვათქვამს, ამდენი და ამდენი

ადგილი გავასწორეთო, არსად დაგვიწერია: ამდენი გასწორებანი ჩვენია, ამდენი კიდევ სხვისია (ახლა იძულებული ვართ ჩავიხედოთ: სწორია თუ არასწორი, სამასზე მეტი ადგილი გაგვიმართავს, და ორმოცამდე ვარაუდი წამოგვიყენებია ტექსტის გასასწორებლად).

„ეისრაიმინის“ ხელნაწერებში იკითხება: „მიჯნურობასა სხუისა მიჯნურობისაგან არა დასწუაეს“, II გამოცემის რედაქციამ ამ აზრის ნათელსაყოფად კიდევ ჩაუმატა და იგი, როგორც არანუსისმიერი და ვარაუდით ნაგულვები სიტყვა, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასვა. თავიდან მოვყვებოდით რა ქართულ ტექსტის სწორებას ორიგინალისა და ყველა ქართული ნუსხის მომგვლიებით, ამ ადგილს რომ მივაღიქით, გაირკვა, რომ II გამოცემის რედაქტორთა ვარაუდი გამართლდა, ეს კიდევ საჭირო ყოფილა, მაგრამ გაირკვა შემდეგიც: მათ არ გამოუყენებიათ, თორემ ეს კიდევ ყოფილა თელავურ ნუსხაში. ამის გამო კვადრატული ფრჩხილები მოვხსენით და აღვნიშნეთ, თუ რატომ ჩავიდინეთ ეს. ალ. ბარამიძე სახტადად დარჩენილი ჩვენი საქციელით. იგი წერს: „საკითხი იბადება, რად შეიტანა ახალმა რედაქციამ ეს მაგალითი თავის ძირითად გასწორებათა სიაში? რედაქციას ხომ არსებითად არაფერი გაუსწორებია, მან მხოლოდ დაადასტურა წინა გამოცემის გასწორების კანონზომიერება.“ ვფიქრობთ, ეს და ამის მსგავსი მაგალითები არ შეიძლება მიეთვალოს ახალი რედაქციის გასწორებათა აქტივს“ (გვ. 162). ისე გამოდის, თითქოს ჩვენ ჩვენი გასწორებათა სია ცალკე გვქონდეს, სხვების გასწორებათა სია კიდევ—ცალკე, ხოლო დასახელებული მაგალითი თითქოს, ნაცვლად იმისა, რომ მეორე, სხვების გასწორებათა სიაში შეგვეტანა, ჩვენ მიგვისაკუთრებია, ჩვენს გასწორებათა სიაში შეგვეტანია.

არ გვესმის რას ნიშნავს: რედაქციას არსებითად არაფერი გაუსწორებია, მან მხოლოდ დაადასტურა წინა რედაქციის გასწორებაო? ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ ასეთი ვარაუდი ჰქონდა მავანს და მავანს, მაგრამ ვარაუდი ერთია და მისი დასაბუთება კიდევ—სხვა. ვარაუდლად გამოთქმული მოსაზრება თუ დამტკიცებული იყო თავიდანვე, მაშინ სიტყვა კიდევ კვადრატულ ფრჩხილში რატომ ჰქონდათ ჩასმული? მხოლოდ ჩვენ მიერ მოხმობილმა და მანამდე გამოუყენებელმა საბუთებმა თუ დაადასტურა ესა თუ ის ვარაუდი, განა ეს არაფერია?

ალ. ბარამიძე ფიქრობს, რომ კიდევ-ს მსგავსი გასწორებანი ჩვენს აქტივს არ მიეთვლება. რას აბათილებს ჩვენი რეცენზენტი ამით? განა სადმე ვთქვით, რომ ეს გასწორებანი ჩვენს აქტივშიაო? თუმცა, ვიმეორებთ, ახალი, მანამდე გამოუყენებელი მასალების მოხმობით ჩვენ ვაქციეთ გუმანი ფაქტად და ამდენად შეგვეძლო იგი „ჩვენს აქტივში“ ჩავგვეთვალა, ეს უხეირო გამოთქმა რომ ვიხმაროთ. რეცენზენტი საამისოდ

მხოლოდ ერთ მაგალითს განიხილავს და ისე ზეპირად ასახელებს რვა დანარჩენ ასეთ ადგილს (130, 180, 194, 198, 206, 212, 228, 290). კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ არსად, აქ ჩამოთვლილ შენიშვნებში, სხვისი გასწორებანი ჩვენთვის არ მიგვითვლია. ამ ადგილებში ჩვენ მხარს ვუჭერთ, დამატებითი საბუთებით ვადასტურებთ II გამოცემის რედაქტორთა ვარაუდს და, ვიჩენთ რა კეთილსინდისიერებას, მაინც ყველგან ვუთითებთ, რომ ისინი სხვისია.

15. „ვისრამიანის“ მთარგმნელს სპარსული ჩინებულად სცოდნია, მაგრამ ორიოდ შეცდომა მაინც მოსვლია. საგანგებოდ განვიხილეთ ასეთი ადგილები, რათა ტექსტმა ქართველი მკითხველი შეცდომაში არ შეიყვანოს. რეცენზენტის აზრით, „აქაც რედაქტორებს წარმოდგენილი აქვთ რიგი საინტერესო დაკვირვება და მახვილგონივრული მოსაზრებანი, მაგრამ მათ მიერ მოყვანილი მაგალითები არ შეეფერება ამ განყოფილების დასათუტრებას („მცდარი ვაგებანი“) (გვ. 179). როგორც ვხედავთ, ლაპარაკია არა იმაზე, რომ ზოგი მაგალითი არ შეეფერება ამ დასათუტრებას, არამედ იმაზე, რომ ამ თავში მოტანილი ადგილები საერთოდ არ შეიძლება მცდარ ვაგებად იქნას მიჩნეული. სანამ ალ. ბარამიძის მიერ ამის ნიმუშად მოტანილ მაგალითებზე შევჩერდებოდეთ, გაკვირვებით მთარგმნელის ერთ შეცდომას, რომელზედაც ჩვენს გამოცემაში უკვე გვქონდა საუბარი და რომელსაც რეცენზენტი აფუჩჩეჩებს. ორიგინალში იკითხება ერთი, ირანისტიკაში ფართოდ ცნობილი ადგილი (სადაც გორგანნი ფალაურის ერთგვარ ცოდნას ამჟღავნებს):

خوارسان را بود معنی خور آیان  
کجا ازوی خور آید سوی ایران (۱۷۶، ۴)  
„ხორასანი ნიშნავს მზის ამოსავალს,  
რადგან მზე ირანში ხორასნით ამოდის“.

მომხდარა ისე, რომ მთარგმნელს ეს ადგილი რატომღაც ვერ გაუვია: „ხორასანი ფალაურითა ერთ ჰამოსა და მომცემსა ქვეყანასა ჰქუიან. ერაციისა და სრულისა სპარსეთისა საქამადი ხორასნით მოვა“ (108, 6). თარგმანი, რა თქმა უნდა, მცდარია და ამის მიჩქმალვა საქმესაც ავნებდა და „ვისრამიანის“ მთარგმნელსაც დაამდაბლებდა.

განვიხილოთ კიდევ ორ ადგილს, რომელთა შესახებ ალ. ბარამიძემ გამოთქვა მოსაზრება, დედანი სწორადაა ვაგებულიო.

თვალ-მარგალიტით მოქრთამულმა შაჰრომ ვისი ვიროს გაჰყარა და მოაბადს გაატანა. ეს ამბავი ღამით მოხდა. გორგანნი წერს: „ღამე [იყო] ბნელი და კუბრში ამოვლებული, შავი და საშინელი, ვით განშორების დღე“ (176, 53) ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „რა კარი გააღო ცი-

ხისა, მოაბადს ქალი ზელთა მისცა. [ლამე] სიბნელითა წერისა ფერად შავი იყო. მოყუარულთა გაყრა დია მწარეა“ (59, 20). ჩვენ ვწერდით: „მთარგმნელმა შედარება ცალკე ფრაზად გაიზარა და ლამის აღწერაში, ცოტა არ იყოს, უადგილო თხრობა ჩაურთო, თუმცა შინა-არსი ამით მაინცდამაინც არ წამხდარა“ (გვ. 488). რეცენზენტი ჯერ იმაზე გვედავება, რაზედაც ჩვენ არ გვიდავია (ლამე რომ წერის ფერია)<sup>27</sup>, მერე კი გვასწავლის: ვისრამიანის ავტორი შემოქმედებითად ააზრიანებს და ათავისებურებს სათარგმნელ ტექსტს. ეს მისი თავისებურებაა, მისი ღირსებააო (გვ. 180). ავტორი ამბობს: ლამე განშორების დღესავით ბნელი იყოო, თარგმანში კი გვიწერენ: ლამე ბნელი იყო, მოყვარულთა გაყრა მწარეაო, განა ეს „შემოქმედებითი გააზრიანებაა“?

16. მოაბადმა ვისი ხელთ ჩაიგდო და მარაგში წაიყვანა. მას ძმები, ზარდი და რამინი, ახლდა თან და დიდი ლაშქარი მიჰყვებოდა. უეცრად ქარმა ტახტრევანს სახურავი მოგლიჯა და მზეთუნახავი ვისი გამოაჩინა. მოხდა ის, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ ხდება: რამინმა ქალსა შეხედა და „ლახვარი ეცა ცნობასა და გულსა“. რამინი ცხენიდან ჩამოვარდა და გონი დაკარგა. აქ ორი რამ იყო რამინის, მეფის ძმისა და ტახტის მემკვიდრე რაინდის, თავს: მას შეუყვარდა თავისი სარძლო, მისი ძმის საცოლე და, მეორე, ამ სიყვარულმა ისე დააძაბუნა, რომ დიდებულებისა და მდაბიო მოლაშქრეთა თვალწინ ცხენიდან ჩამოაგდო. ერთიც და მეორეც სათაკილო იყო. ქართულ თარგმანში იკითხება: „მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, და ენისა ჳმარების ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს. მერმე ზელი უჭუივლო და კაცთა სირცხულითა კუნესა დაიწყო“ (60,2).

ორიგინალში პირიქითა გვაქვს: კვენესა დაიწყო კი არ სწერია, არამედ აღარ კვენესოდა, ე. ი. ხალხის შერცხვა და კვენესა შეწყვიტო. სპარსულში საქმეს ცვლის ერთი წერტილი, — თუ მას სტრიქონს ზემოთ დავსვამთ 4-ს მივიღებთ და გამოვა, რომ რამინი აღარ კვენესოდა, ხოლო თუ სტრიქონის ქვემოთ ჩამოვიტანთ 4-ს მივიღებთ და გამოვა: რამინმა კვენესა დაიწყოო. შეიძლება, მთარგმნელის ხელნაწერში იყო ეს წერტილი უადგილო ადგილას, ანდა შეიძლება, სულაც არ ყოფილიყო იგი. ასეა თუ ისე, მთარგმნელს აქ ايلنا ('არ ტიროდა') უნდა ამოეკითხა და არა ايلنا ('ტიროდა'). ალ. ბარამიძე ექომმაგება მთარგმნელს, მაგრამ

<sup>27</sup> არა თუ არ გვიდავია, პირიქით, ტექსტში ეს წერის ფერი ჩვენ აღვადგინეთ. ყველა ხელნაწერსა და გამოცემაში წეროს ფერი იკითხებოდა. გარდა ამისა, ტექსტს აკლდა მითითება, თუ რა იყო წერის (მელნის) ფერი. ჩვენ აქ ლამე აღვადგინეთ. უცნაურია, რომ რეცენზენტი ჩვენვე გვიმტკიცებს იმას, რაც უკვე დამტკიცებულია ჩვენ მიერ.



იმას კი არ ამბობს, მის სპარსულ ნუსხაში ალბათ ასე ეწერა და ამას შეაცდინა „ვისრამიანი“ მთარგმნელიო, არამედ გაუგებრობის შედეგად მიღებულ ფრაზას იწონებს და იცავს: „გონს მოსულმა რამინმა კენესა და-იწყო, რომ მიჯნურობა დაეფარა, გულის შეღონება კი უეცარი სნეულებისა და ფიზიკური ტკივილის მომიზეზებით შენიღბათ“ (გვ. 179). რეცენზენტი არ გვეთანხმება რა ჩვენ, წარმოადგენს ვარაუდს (თავისთავად მიუღებელს), რომლის ავტორი ჩვენვე ვართ. გამოკვლევაში ვწერდით: „შეიძლება მთარგმნელმა ისე გაიაზრა, თითქოს რამინი თავისი მიჯნურობის დამალვას შეეცადა ფიზიკური ტკივილის მოჩვენებით“ (გვ. 487). მაგრამ ეს ვარაუდი, ვიმეორებთ, სწორი არაა, რადგან ყველაფერს ნათელს ჰფენს ერთი დეტალი თარგმანისა, რომელსაც ალ. ბარამიძე ყურადღებას არ აქცევს. თარგმანში ვკითხულობთ: „მერმე გელი უკუივლო და კაცთა სირცხვილითა კუნესა დაიწყო“. რაზე უკუივლო ხელი რამინმა? პასუხს ქართულის წინა ფრაზა და ორიგინალი იძლევა. წინა ფრაზაში ცრემლნი სდიოდესო წერია, ხოლო ორიგინალი ამბობს: „ორივე ხელი თვალეზზე მოისვა, კაცთა სირცხვილითა აღარ კვნესოდაო“ (9ა, 32).

ე. ი. რამინმა ტარიელის მსგავსად „თვალთა ხელი უკუივლო, ცრემლნი ცხელნი მოიწურნა“. ხოლო თუ ასეა, განა ცრემლი იმისთვის მოიწურა, ე. ი. ტირილი იმიტომ შეწყვიტა, რომ იქვე კენესა და გოდება დაეწყო. არა, მან იმის გამო უკუივლო ხელი, რომ ტირილი შეეწყვიტა. რამინმა ცრემლი მოიწმინდა და სირცხვილით აღარ კვნესოდა.

17. მიიჩნიათ, რომ „ვისრამიანი“ თავისუფალი თარგმანია. ამას აფიქრებინებთ ასეთი ტიპის მაგალითები:

ჯერ კიდევ იუსტინე აბულაძემ შენიშნა, რომ ორიგინალის გამოთქმას: (173, 94) *داگر بر خاک نشاند ای گوهر* „მარგალიტი მეტი აღარ დაყარა მიწაზე“ — ქართულ „ვისრამიანში“ შეესატყვისება „მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა“ (იუსტინე აბულაძე, რუს-თველოლოგიური ნაშრომები, გვ. 101). ასევე, იმავე იუსტინე აბულაძეს ჰქონდა შემჩნეული, რომ ორიგინალის აფორიზმი:

معلم چون کند داستان نوازی  
 کند کودک بپیشش پای بازی (179, 34)

„მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაფე იმწამსვე ცეკვას გააბამს“ ქართულ თარგმანში ასეა გადმოტანილი: „რა ხუცესი ორძალთა უკრევდეს, დიაკონმა შუშპარისა კიდე რამცა ქმნა“ („ვისრამიანი“, 104, 13). იუსტინე აბულაძე თვლიდა, რომ ორივეგან მთარგმნელს „განზრახ შეცვლილი“ აქვს ეს ადგილები. კ. კეკელიძე და ალ. ბა-



რამიძე ასეთ ადგილებს თარგმანის „გაქრისტიანების“ ნიშნად მიიჩნევენ (კ. კეკელიძე, II, გვ. 54. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 81). და საბოლოოდ „ვისრამიანს“ თავისუფალ თარგმანად თვლიან. ზემოთ მოტანილი ადგილები ასეთი დასკვნის უფლებას ვერ მოგვცემდა. მარგალიტის ღორისთვის დაყრა ზუსტად გამოხატავს იმ შინაარსს, რასაც მარგალიტის მიწაზე დაყრა გვაძლევს. მაგრამ ამავე დროს, ჩვენი ფიქრით, აქ სწორედ ღორი უნდა წავიკითხოთ და არა მიწა, რადგან ორიგინალის كَحَا (ხაქ—‘მიწა’) უნდა მოდიოდეს كَحُو (ხუქ—‘ღორი’) ფორმისაგან. ასევე, ხუცესისა და დიაკონის იგავი შშვენიერად გამოხატავს იმას, რაც სპარსულშია თქმული, ოღონდ استان نوازى ჩვენ გვესმის არა როგორც „ვისრამიანის“ მთარგმნელს („ორ ძალთა უკრევდეს“) და მკვლევართ (იუსტ. აბულაძე: „საამო გალობას იწყებს“; ალ. ბარამიძე: „საარაკო გალობას რომ დაიწყებს“), არამედ ასე: „ტაშს რომ დაუკრავს“. მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, ხუცესი აქ მასწავლებლის მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ, ხოლო დიაკონი—მოწათის, შეგირდისა (შდრ. თედო სახოკია, როგორ ვიზრდებოდით ძველად).

ქართველ მთარგმნელს ქრისტიანობის ელემენტები რომ გამოაჩინდეს, ეს გასაგებიცაა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი ასეთი ტენდენციის მატარებელი იყოს, თუნდაც დამტკიცდეს, რომ მან აქა-იქ ქრისტიანული ელემენტი შეიტანა თარგმანში. ასეთი მაგალითები მთარგმნელის პრინციპის გასარკვევად ვერ გამოგვადგებოდა, რადგან ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ რა ვუყოთ ისეთ შემთხვევებს, როცა ორიგინალში ნახსენებია იესო ქრისტე (۲۵۹, ۲۱۲ — گوی مانند عیسی بود بر ما — „ხან იესოსავით იყო მთვარეზე“), ხოლო ქართულ თარგმანში მას გვერდი აქვს ავლილი („ვისრამიანი“, 152, 5)?

ორიგინალში იხმარება جیحون (მდინარე ჭეჰჰუნი) თოთხმეტჯერ, ქართულში მას სამჯერ მისადაგებული აქვს მტკვარი, ხოლო თერთმეტჯერ ჭეონი ფორმითვეა გადმოტანილი. ალ. ბარამიძეს ეს მაგალითი იმის დასტურად ნიაჩნია, რომ თარგმანი თავისუფალია. იგი უგულვებელყოფს ერთ რამეს: მტკვარი არის კი მთარგმნელისეული? იქნებ ამ ფორმით მერე შეცვალეს გადამწერებმა თარგმანის ჭეონი.

II გამოცემაში იკითხება: „თუმცა ცისა თუითო ცუარი ას-ასად მტკურისა ოდნად შექმნილიყო“ (გვ. 125). ორიგინალში აქ ჭეჰჰუნის ნაცვლად სადრჰლ („ასი მდინარე“) გვხვდება (۲۲۶, ۱۳۹) ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ხელნაწერი (S—96) აქ ჭეონს კითხულობს. ამგარაა, ჩვენი წინაპრებისთვის ჭეონი და მტკვარი სინონიმები ყოფილა. და ეს გასაგებიცაა, რადგან სპარსულში ჭეჰჰუნის მარტო მდინარე ჭეჰჰუნს (ამუ-ღარას) კი არ ნიშნავს, არამედ საერთოდ



დიდ მდინარეს ეწოდება. ქართულშიც თითქმის ასეა, მტკვარი და რიონი დიდ წყალსაც ნიშნავს ჩვენში (იტყვიან: „ეს რა რიონი მოვარდნილა“, „მტკვარი დამდგარაო“). ამიტომაცაა, რომ ქართულში მტკვარი ოთხჯერ გვხვდება და აქედან ის ორჯერ შეესატყვისება ჯეაჰუნს, ხოლო ორჯერ უბრალოდ ორიგინალის დიდ მდინარეს ცვლის (100, 4 (65, 1) — 124, 181 (77, 37) — 226, 139 (194, 24) — 339, 28 (194, 5). მტკვარი საერთოდ დიდი მდინარის მნიშვნელობით იხმარება თარგმანში. ე. ი. იმ მნიშვნელობით, რაც ორიგინალში ჯეაჰუნნი ექვონდა.

უთითებენ მეორე მაგალითზე. ორიგინალში იკითხება:

چو سارم سرو گوهر بار در بر  
چرا جویم چنان خشک و بی بر (121, 127)

„როცა მყავს მარგალიტის ნაყოფიანი სარო კულში [ჩახუტებული]. რაში ვეძებ უნაყოფო და გამხმარ ქადარს“.

ამის შესატყვისად ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ვირე მაქუს ნაძუი ნაყოფიანი, არ ვეძებ ანწლსა მყრალსა, დამბალსა და დამქნარსა“ (45, 4). ეს დაცილება ორიგინალის შინაარსს არ ცვლის, რადგან ქართულით ზუსტად იგივეა თქმული, რაც ორიგინალით.

გარდა ზემოთ მოტანილი ადგილებისა, ალ. ბარამიძის რეცენზიაში არა ერთი და ორი სხვა ადგილიცაა განხილული. ბევრი მისი შენიშვნა მართებულად მიგვაჩნია, ზოგზე კი სხვა დროს გვექნება საუბარი როგორც ამ სტრიქონების ავტორს, ასევე, ალბათ, ალ. გვახარიას.

**II. მანავი — ვამანი**

ძიძამ შაპროს მიუწერა: შენი ქალიშვილი მეტად ნებიერია, იმდენ რამეს მთხოვეს, რისი შეძლებაც მე არა მაქვს, ამიტომ კეთილინებე და წაიყვანეო. აქ ქართულ ტექსტში ერთი ასეთი ადგილი იკითხება:

„რა შუადღე იქმნას, ოქროქსოვილსა ითხოვეს და სალამოდ — ოქსინოსა, წამსა და წამსა თუითოფერსა ითხოვეს და ათასსა მანავსა ხარასა“ (39, 15).

გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს აქ მანავი? იუსტინე აბულაძეს ის ესმოდა როგორც „გვარი, ნაირი“ (II გამოცემა, გვ. 367)<sup>28</sup>, რაც კონტექსტის შინაარსიდან გამომდინარე განმარტება უნდა იყოს.

<sup>28</sup> იუსტინე აბულაძეს „ვისრამიანი“ არ გამოუცია. ის, სპარსული ორიგინალისა და მისი ქართული თარგმანის უებრო მცოდნე, რატომღაც არ შესულა მეორე გამოცემის რედაქციაში. მაგრამ უფრო უცნაური ისაა, რომ ამ გამოცემას მისი ლექსიკონი ერთევის, სადაც მას სხვანაირად ესმის ტექსტის ზოგი ადგილი, ვიდრე რედაქტორებს.

ორიგინალში ვკითხულობთ:

چو باشد روز را هنگام پیشین  
ز من خواهد پرند و بهمن چین (۱۸، ۱۴۷)

„დღისით, სადილობის დროს  
მთხოვს აბრეშუმს და ჩინურ ბაჰმანს“ (?).

მაგრამ თავისთავად ესაა გასარკვევი, რას ნიშნავს ორიგინალის „ბაჰმანს“? მხოლოდ ერთი (კალკუტური) ნუსხა კითხულობს მის ნაცვლად ۱-بر-بر:

زمن خواهد پرند بربر و چین<sup>29</sup>

„მე ბერბერულ და ჩინურ აბრეშუმს მთხოვს“.

მაგრამ ქართულ თარგმანს არ ეტყობა, რომ იგი ამ რედაქციისაგან მოდიოდა, მის ვარიანტებში არსადაა ფიქსირებული არა თუ ბერბერი, არამედ ჩინიცი (ჩინეთი). ქართული თარგმანი, ვფიქრობთ, სწორედ აღრეციტირებულ ბაითს უკავშირდება, რასაც სწორედ ეს მანავ-ი ადასტურებს.

როგორც ილია აბულაძემ შეგვნიშნა, „ვისრამიანის“ ვაამანი შეცდომით მივიჩნიეთ ჩვენ მავანის დამახინჯებულ ფორმად, მან ჩინებულად განმგვიმარტა, რომ ვაამანი იგივე სპარსული ბაჰმანია (بهمن) და მავანს ნიშნავს<sup>30</sup>.

აქ „ვისრამიანისთვისაც“ არა ერთგზის ნახმარი ეს ფორმა—ვაამანი (بهمن) უნდა გვექონდეს, დედანშიც სწორედ ეს უკანასკნელი იკითხება. ჩანს, ამ სიტყვას ვერ იგებდნენ გადამწერები, რომელთაც ასეთი ფორმები მოუციათ: ვმანავსა: Q—355, H—1211, H—716, S—17, S—27, S—102; ვამონავსა: S—3702; ვამნავსა: ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, H—112, H—2216. ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, ვაამანსა ფორმის დამახინჯებული სახეა და ნიშნავს: „ესა და ეს“, „მავანი და მავანი“, „ნაირ-ნაირი“, ძიძას უნდა თქვას: ვისი ათას ნაირ ხარას, ე. ი. ძვირფას ქსოვილს ითხოვსო.

### III

ჩვენსა და სხვათა გამოცემებში იკითხება: „და გაგზავნილნი წაიღეს ქარისაგან უფიცხესად ყოველგან, ვითა:

شوی ویس و رامین تصنیف فخر الدین اسعد الاستربادی الفخری<sup>29</sup>  
الگرگانی، بتصحیح کپتان ولیم ناسولیوس و منشی احمد علی صاحب، کلکته،

გვ. 23, 1875

<sup>30</sup> ილია აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, გვ. 197.

„შევიყრებით, შევეკაზმებით მაჰსა ზედა მისავლადო ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, ხუარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, პინდოეთით, თაბათით, ჩინით, მაჩინით, სულდით და თურანითაო“ („ვისრ.“, 1962, 47, 33; „ვისრ.“, 1964, გვ. 24).

ორიგინალის (69, 38—42) მიხედვით ირკვევა, რომ აქ გაერთიანებულია ავტორისა და პერსონაჟთა სიტყვები. ტექსტი ასე უნდა გაიმართოს:

„და გაგზავნილი წავიდეს ქარისაგან უფიცხესათ ყოველგან, ვითა: „შევიყრებით, შევეკაზმებით მაჰსა ზედა მისავლადო“ ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით“ ლა ა. შ.

#### IV

გამოცემებში (მათ შორის, ჩვენს რედაქციაში) ვისი მოაბადს ასე შეუთვლის:

„ამა საწუთროსა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ და ვერცა რასა მისებრსა მე ვჰნახავ, მის უკეთესი სხუა ვინ გამოვიჩიო? დღეთა შენთა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ, თუ უკუნისამდისცა აქა დასდგებო“ („ვისრ.“, 1962, 53, 30).

ყურადღებას იქცევს ორჯერ მოტანილი „შენ ჩემგან ვერას გაიხარებ“. მართალია, „ვისრამიანს“ ჩვევია განმეორებანი, მაგრამ აქ ეს განმეორება ქართულ ხელნაწერთა შეცდომის შედეგი ჩანს. ორიგინალშია:

دراين گيتى بجای او که بينم  
برو بر ديگری را کی گزینم  
تو هرگز کم خویش از من نیینی

وگر خود جاودان اینجا نشینی (77, 16)

„ამ ქვეყნად მის (ე. ი. ვიროს) ნაცვლად ვის შევხედო, მის სანაცვლად ვინ ავიჩიო!

შენ შენს წადილს ვერასოდეს შეისრულებ ჩემთან, სულ აქ რომ იჯდე“.

და მართლაც ხელნაწერებში: H—1211, S—96 „შენ ჩემგან ვერას გაიხარებ“ მეორეჯერ აღარ გვხვდება.

#### V

ვისისადმი გაგზავნილი მოაბადის საჩუქრების ჩამოთვლისას ქართულ ტექსტში ასეთი ადგილი გვხვდება: „მრავალნი მონა-მჟეველნი: ბერძენნი,

ჩინელნი, ყუელანი კეკლუცნი“. მეორე გამოცემის რედაქტორებს აქ კვადრატულ ფრჩხილებში აღუდგენიათ ორიგინალისეული პირმთვარენი: „მრავალნი მონა-მკვევალნი: ბერძენნი, ჩინელნი [პირმთვარენი] ყუელანი კეკლუცნი“ (გვ. 48). ორიგინალშია:

زچینی وز رومی ماهرویان  
همه کافور رویان مشک‌مویان (۱۰۸، ۱۴۵)

„ჩინელი და რუმელი პირმთვარენი,  
ყველანი ქაფურის (თეთრი) პირისახის და მუშკის  
(შავი) თმის მქონენი

მეორე გამოცემის შესწორება გავიზიარეთ ჩვენც („ვისრ“., 68, 37), მაგრამ, ვფიქრობთ, იგი მცდარია და ტექსტი აქ არაფრის ჩამატებას არ საჭიროებს.

## VI. მუშა-ვაზი — მუშკ-ავაზი

„ვისრამიანში“ ერთგან რამინი ასეა აღწერილი: „ყურისა ძირნი წმიდასა ვეცხლსა უგუანდეს; სუბმულით ჯერთ შავი არ ჩაეცვა და მუშა-ვაზნი მუშკისა ყუანჭად შეჰქმნოდა. ნიკაპსა ჯერეთ ცოტა ქაფურისა ფერობა ჰქონდა“.

ორიგინალში ასეთივე აზრია:

هنوزش بود سیمین دو بناگوش  
نگشته سیمش از سنبل سیه یوش  
هنوزش بود کافوری ز نخدان

دوزلفش بود چون مشکین دو چوگان (۱۱۵, ۲۰)

აქ ყველაფერი ნათელია, მაგრამ ქართულ თარგმანში გაუგებარია მუშა-ვაზი. ეს სიტყვა ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში „ვისრამიანის“ გარდა არსად გვხვდება, საბაძ მას მხოლოდ „ვისრამიანი“ იცნობს და განმარტებული აქვს როგორც „ქველის ვაზის ფერი, ამბრის ფერი“. „ვა-ზი ნამუშავარი კვალად“. მოაქვს ადგილი „ვისრამიანიდან“: „შენ რომ მუშა-ვაზისა ფერსა თმასა ივლეჯ“.

აქ ფორმა მუშავაზისა დაუცავს მხოლოდ სამ ხელნაწერს (S—3702, H—716, Q—355), დანარჩენში მუშკისა იკითხება, რაც ორიგინალის სურათს ზუსტად ასახავს *موی مشکین را کنی تو* „მუშკის თმას ივლეჯ“, მაგრამ ამ მაგალითს ჩვენ ქვემოთ მოვეუბრუნდებით, ახლაკი მივყვეთ ისევ ზემოთ ნახსენებ ადგილს.

როგორც ვხედავთ, მუშა-ვაზი შეესატყვისება ორიგინალის *دو زلف* („ორი ზილფი“). პოეტი ამბობს: მისი ორი ზილფი მუშკის ორ

ჩოგანს ჰგავდაო, ე. ი. მკითხველისთვის ნაცნობი საგანი ზილფები შედარებულია მუშკის ჩოგანს. მაგრამ ქართულში, საბას განმარტება თუნდაც რომ სწორი იყოს, ვითარება ბნელია. გამოდის, რომ მეტაფორაა აღებული და ივია განმარტებული, ე. ი. ნათქვამია, რამინის ვაზი მუშკს ჰგავდაო, მაგრამ მეტაფორა იმისია, რომ იგი თავისთავად განმარტებულია, მას კიდევ შედარება არ სჭირდება. გარდა ამისა, ვაზი, მსხვილი და არც ისე შავი საგანი ვერ გამოდგება ქალის ზილფების მეტაფორად. საბა, „ვისრამიანის“ სათანადო კონტექსტი რომ მოაქვს, კარგად გრძნობს ამ უხერხულობას და ამ სიტყვას იგი ამბრის ფერის მნიშვნელობასაც აშეულებს. მაგრამ ამით საკითხი ბოლომდე მაინც არაა ნათელი—შავი საგნის აღმნიშვნელად რაღა ვაზის ძირი აიღეს. ვაზის ლერწები ანდა პწკალი რომ ყოფილიყო, კიდევ გასაგები იქნებოდა მეტაფორა, მაგრამ ესენი არაა (ვერც იქნებოდა, ისინი შავი არაა). საბას აზრს ავითარებს ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც „ვისრამიანის“ მუშა-ვაზი ყურადღების გარეშე არ გამოიჩენია. მისი დასკვნა ასეთია: „მუშა-ვაზის ფერი ნიშნავს მუშკის ფერს, მუშკის ფერი—კი სპარსულში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, შავსა ჰნიშნავს. ამიტომ მუშა-ვაზის [ფერიც შავის ანუ მოშავო ფერის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ყველა ზემონათქვამი აღამიანს დაარწმუნებს, რომ ს. ორბელიანი მართალი იყო, როდესაც ამ სიტყვის მნიშვნელობას ლექსიკონში ასე განმარტავდა „მუშა-ვაზი ძველი ვაზის ფერი, ამბრის ფერი აო (ვისრამიანში). ხოლო ვისრამიანის 1884 წ. გამოცემაში დართულ ბატარა ლექსიკონში ნათქვამია: „მუშა-ვაზი—ძველი ვაზი, რომელსაც ხალხი შავს უწოდებსო“ (გვ. 467).

მასასაღამე, მუშა-ვაზი ძველი ვაზის, ე. ი. ვაზის ლერწის იმ ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელიც თვითონ ყურძენს არ ისხამს, არამედ რომელსაც რქები გამოაქვს და მთელი ვაზის კვებისთვის მუშაობს. რაკი ძველ ვაზს ყოველთვის მუქი ფერი აქვს, ამიტომ საქართველოში, სადაც ვაზს მევენახეობასა, მეურნეობასა და ყოფა-ცხოვრებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შავი და მუქი ფერისათვის ხალხს მუშა-ვაზის ფერი უწოდებია.<sup>31</sup> ი. ჯავახიშვილს არც ის დარჩენია ყურადღების გარეშე, რომ „ვისრამიანის“ მეორე ადგილას გამოცემებში დღეს უკვე მუშა-ვაზი კი არ იკითხება, არამედ მუშკი, და აქედან გამომდინარე საკითხს სვამს: ასეთი ცვლილება არ შეიძლება გადამწერს დაბრალდეს, იგი მუშა-ვაზს ვერ შეცვლიდა მუშკად, ამიტომ თარგმნის ორ რედაქციასთან ხომ არა

<sup>31</sup> ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1934, გვ. 294.

გვაქვს საქმე, რომელთაგან ერთი სპარსულ ტექსტს უფრო უახლოვდებოდნენ (იქვე).

მუშავაზი საბასეული მნიშვნელობით გამოყენებული აქვს ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ თავის თარგმანში. შეიძლება, სხვასთანაც გვხვდებოდეს.

ჩვენი აზრით, საკითხის დაბნელება სწორედ გადამწერთა შეცდომის შედეგი უნდა იყოს და არავითარი საგანგებო გადაკეთება თუ გაქართულება აქ არ უნდა გვქონდეს. მუშავაზი ხომ არ უკავშირდება მუშკ ფორმას? „ვისრამიანის“ ერთ ადგილას ხომ ისინი სწორედ ერთმანეთს ენაცვლებიან: „შენ რომ მუშავაზისა ფერსა თმასა იგლეჯ“ (ვარ.: „შენ რომ მუშკისა ფერსა თმასა იგლეჯ“) და ორიგინალშიაც სწორედ მუშკ იკითხება. ხომ არა გვაქვს აქ რაიმე კომპოზიტი, რომლის პირველი ნაწილი მუშკ იქნებოდა? ჩვენს ეჭვს აღრმავებს ასეთი ფორმა ვახტანგ VI ერთ ლექსში:

„ორნივ ერთად ვთამაშობდით: შენ ქურციკი, მე—ავაზი,

მე უღვაში სუმბულითა, შენთან—თმითა მუშკ-ავაზი“<sup>32</sup>.

მუშკავაზი აქაც არაა მთლად გასაგები, მაგრამ უკვე ნათელია ორი რამ: 1. აქ მუშკი უეჭველად იკითხება. 2. ამ მუშკ-ავაზს შედარებულია ქალის თმა.

## VII

ორიგინალის შემდეგი ორი ბაითის მიხედვით:

خرد آواره گشته هوش رفته

دل اندر تن نه بيدار و نه خفته

نه ز آسا يش خبر دارم نه ز رنج

نه از رامش بدل شادم نه از گنج (141, 141)

ქართული ტექსტი ასე უნდა გაიმართოს:

„ცნობა და სიწყნარე წამსვლია, გული ტანსა შიგან იავარმქნია არცა მძინარესა და არცა მღუიძარესა. ჭირი ჭირად არა მიჩს და ლხინი—ლხინად, არცა ჭელმწიფობა რად ჩემი მიხარის, არცა საქურქლე—დიდებად,—ადარა მაქუს სიხარული“.

<sup>32</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი, 1947, გვ. 50. ონანა მდიენის „ბარამჯულიჯანიანიში“ ორჯერ იკითხება მაშავაზი ამავე მნიშვნელობით: „ლალს მაშავაზად უვიშრობს“ (S 1613, 8 r), „ბროლს მაშავაზად გშეენიან“ (იქვე., 13 v).

\* \* \*

ორიგინალის შემდეგი ბაითის მიხედვით:

دلہرا چہ شتاب و چہ نیہیست  
کہدروی مر ترا جای فریبست (۱۳۵ ، ۱۰۰)

ქართული ტექსტი ასე უნდა გაიმართოს:

„ჩემი გული თუით ვითარია მხიარული და წყნარი არის, რომელ-  
შენ კულა მოსალორებელსა უამსა ეძებდე მაგაშიგან“.

\* \* \*

ქართულ „ვისრამიანში“ იკითხება: „შენისა ქანისაგან შენი ბროლი  
უტალაოა და შენისა საუბრისაგან ჩემი სამოთხისა შუე-  
ნება“.

ტექსტს აკლია რაღაც. გახაზული ადგილი ბუნდოვანია, დანარჩენ-  
თანაც შეუსაბამო. ორიგინალში ასეთი სურათია:

زاندام تو باشد یاسمین  
زگفتار تو باشد آفرینم  
بہشت جاودان آن روز بینم  
کہ آن رخسار جان افروزیںم (۱۲۲ ، ۱۵۹)

„შენი ტანისაგან (ვარიანტია: სახისაგან) მაქვს მე იასამანი  
შენი საუარისაგან მაქვს მე სიცოცხლე,  
მარადიულ ედემს იმ დღეს ვხედავ,  
როცა იმ სულის მომბრუნებელ სახეს შევხედავ“.

### პოემის სიუჟეტის შესახებ

ერთ-ერთი რთული საკითხი პოემის წარმომავლობის კვლევაა, მიუ-  
ხედავად იმისა რომ ავტორი თითქოს დაწვრილებით გავგაცნობს ამ წარ-  
მომავლობის ისტორიას:

بگفتم کان حدیثی سخت زیباست  
زگرد آوردہ شش مرد داناست  
ندیدم زان نکوتر داستانی  
نماند جز بخرم بوستانی  
ولیکن پہلوی باشد ز بانس



نداند هر که برخواند بيا نش  
 نه هر کس آن زبان نیکو بخواند  
 وگر خواند همی معنی بداند  
 فراوان و صف هر چیزی شمارد  
 چو برخوانی بسی معنی ندارد  
 . . . . .

کنون این داستان ویس و رامین  
 بگفتند آن سخندانان پیشین  
 هنردر فارسی گفتن نمودند  
 کجا در فارسی استاد بودند  
 بیوستند ازین سان داستانی  
 درو لفظ غریب از هر زمانی  
 بمعنی و مثل رنجی نبردند  
 برو زین هر دوان زیور نکردند  
 . . . . .

بدان طاقت که من دارم بگویم  
 و زان الفاظ بی معنی بشویم  
 کجا آن لفظها منسوخ گشتست

زدوران روزگارش در گذشتست (۲۸-۲۹)

„უტბასუხე: ის ამბავი ძალიან კარგია,  
 ექვსთა შეკრებილთაგანია,  
 მასზე უკეთესი ამბავი არ მინახავს,  
 აყვავებულ წალკოტს თუ შეადარებ.  
 მაგრამ ფალაურ ენაზეა,  
 ვინც წაიკითხავს, ყველა კი ვერ გაიგებს.  
 იმ ენაზე ყველა ვერ კითხულობს კარვად  
 და თუ წაიკითხა, ყველა ვერ იგებს შინაარსს.  
 უხვად აღწერს ყველაფერს,  
 რომ წაიკითხავ, დიდი არაფერი შინაარსი აქვს.

შემდეგ. ვნისისა და რამინის ეს ამბავი  
 იმ ძველმა მოლექსეებმა თქვეს.  
 სპარსულად თქმაში უნარი გამოიჩინეს,  
 რადგან სპარსულის ოსტატები იყვნენ.  
 ამგვარად ერთი ამბავი (პოემა) შეკრეს,

მასში ყოველი დროის ენა [იყო].  
 აზრისა და იგავისთვის არ უზრუნიათ,  
 ამ ორი რამით არ შეუმკიათ ის.

როგორც შევძლებ, ისე ვიტყვი  
 და იმ უაზრო სიტყვებისაგან ვაფრეცხავ,  
 რადგან ის სიტყვები აღარ იხმარება  
 და დროთასვლაში [ხმარებიდან] გასულა“.

ტრადიციულად მიაჩნდათ, რომ ჭახრ ალ-დინმა ფალაურიდან თარგმნა პოემა. ვ. მინორსკიმ გამოთქვა მოსაზრება, გორგანნიმ ფალაურიდან სპარსულად თარგმნილი ამბავი გალექსა და თავადაც ცოტა ფალაურიც სცოდნიათ. იგი იმასაც კი ფიქრობს: ის ექვსი შემკრები და ეს „ძველი ლექსთმცოდნენი“ ერთნი და იგივენი იყვნენ და მათ იქნება „შაჰ-ნამეს“ პროზაული ვერსიის შემქმნელთა მსგავსად გადმოელო ეს ძეგლიო<sup>33</sup>.

ვ. მინორსკის ვარაუდი, რომელიც არ ყოფილა მეცნიერის მიერ გამაგრებული სათანადო არგუმენტებითა და არსებული შეხედულებების კრიტიკით, უარყო მ. მაჭუჭუბამ. მისი აზრით, შეუძლებელია ის „ექვსი შემკრები“ და „ძველი ლექსთმცოდნენი“ ერთნი და იგივენი იყვნენ, რადგან პირველთა შესახებ აშკარადაა ნათქვამი, რომ მათ ფალაური ვერსია შეაგროვეს, როცა „ძველი ლექსთმცოდნენი“ სპარსული ვერსიის შემქმნელებად არიან გამოყვანილიო<sup>34</sup>.

მ. მაჭუჭუბი ჰკითხულობს, თუ ჭახრ ალ-დინს სპარსული ვერსია ჰქონდა ხელთ, რატომ ამბობს იგი, ეს ვერსია *بى معنى* („აზრს მოკლებული“) არისო<sup>35</sup>. მეცნიერი ცდილობს სხვა ახსნა მოუძებნოს საკითხს და საამისოდ განიხილავს მ. მინორსკის მოსაზრებას, რომელიც ასეთია: ვისისა და რამინის ამბავი იმ მხარეში (ე. ი. ისპაანში) ძალიან ყოფილა პოპულარული. ძეგლი არაბული ხელით ჰქონდათ თურმე იქ გადაწერილი, მაგრამ ენა მისი ფალაური ყოფილა (ამ წიგნით ფალაურს სწავლობდნენ) და, პოეტს მისი გალექსვა დაევალო<sup>36</sup>.

მ. მაჭუჭუბი მ. მინორსკის ვარაუდს იზიარებს და შენიშნავს: ხორასანში დარის ენა იყო, ხოლო ირანში XIII საუკუნემდე ამ ენაზე კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ სპარსულ დიალექტებზე, და იქნება, გორგანნის დროს ფალაური და სპარსული სინონიმური ცნებები იყოო<sup>37</sup>.

<sup>33</sup> فخرالدین گرجکانی، ویسو رامین به اهتمام محمد جعفر محجوب،  
 تهران، ۱۹۵۹ ۳۳- ۳۹۶ فخرالدین შემდეგში:

<sup>34</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> سخن، سال ۶، № 1

<sup>37</sup> فخرالدین، ۲۰ ۳۳.

მაგრამ ჩვენ ხომ პოემიდანვე ვიცით, რომ ჭახრ ალ-დინისათვის ფალაური სწორედ საშუალო სპარსული ენაა, მას ფალაური სიტყვები და ფრაზებიც კი მოაქვს. და ისინი მართლაც ფალაურია და არა ახალ-სპარსული. ამდენად, მაჭჯუბის ვარაუდი სწორი არაა.

პოემის ავტორის ნესბაა გორგანე, ე. ი. იგი კასპიის ზღვის მოსაზღვრე პროვინციიდან უნდა ყოფილიყო. ეს გორგანელი კაცი ჰამადანში მიიჩქარის და ისპაანში შემთხვევით ჩერდება. თუ ასეა, მაშინ აბუ ალ-ჰათჰს ხომ უნდა ცოდნოდა, რომ ამ მხარეში ჭახრ ალ-დინი უცხო კაცი იყო, რატომ მოთხოვა მას ინფორმაცია ვისისა და რამინის ამბის შესახებ, რომელიც, როგორც ეს ტრადიციულად განიმარტება სპეციალურ ლიტერატურაში, მხოლოდ აქ, ისპაანში ყოფილა ცნობილი?

გარდა ამისა, თუ ფალაური აქ სპარსულის, ე. ი. შუა ირანის ენის, სინონიმია, საიდან უნდა სცოდნოდა ჩრდილო პროვინციიდან ჩამოსულ კაცს ამ ენაზე არსებული წიგნი?

ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში თეიმურაზ პირველი „ენს-ო რამინის“ ავტორს ბასრელს უწოდებს, ხოლო პოემას—„ბაღდადს ნათქვამ აზბაკს“<sup>38</sup>.

თეიმურაზ I-ის, სპარსული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნის, ცნობის მიხედვით თითქოს შეიძლებოდა ორი ასეთი სურათი შექმნილიყო:

1. როგორც იბნ ასირი გვაუწყებს, თორღულს ბაღდადზე გალაშქვრის დროს მათეულად ეახლა ბასრის მმართველი ამირ აბუ ალ-მალეჟი (გვ. 17, ۱۷۰۰). ვინ იცის, იქნებ ამ დროისთვის ჭახრ ალ-დინი ბასრაში ცხოვრობდა და თავის ამირს ჩამოჰყვა იმ მიზნით, რომ ბაღდადის კომპანიაში მონაწილეობა მიეღო. იქნება, ამიტომაც აღნიშნავდეს იგი საგანგებოდ: თორღულს უნდა გავჰყოლოდი, მაგრამ ისპაანში საქმე მომეცა და ცოტა ხნით დავრჩიო.

2. წარმოშობით გარგანელი პოეტი თან ახლდა თორღულის ჯარს ლაშქრობაში, ისპაანში ერთ ხანს შეჩერდა, აქ აბუ ალ-ჰათჰისაგან მიიღო წიგნის დაწერის შეკვეთა და შემდეგ თორღულის არმიასთან ერთად შევიდა ბაღდადში (ისპაანის აღების შემდეგ თორღულმა 1055 წ. ბაღდადი დაიპყრო). პოეტი დამკვიდრდა ამ ქალაქში და იქ დაამთავრა თავისი პოემა. წიგნის შესავალში ჩართულია კიდევ ერთი სახელმწიფო ფიგურა—თორღულის ვეზირი ხოჯა აბუ ნასრ იბნ მანსურ იბნ მოჰამადი, რომელსაც საგანგებო ქება (მადჰ) აქვს მიძღვნილი<sup>39</sup>. თორღულისა

<sup>38</sup> თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. აღ. ბარამიძისა და გ. ჯაქობიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 63.

<sup>39</sup> გვ. 16 ويسو رامين

და აბუ ალ-ჭათჭის ქება წიგნში გასაგებია, მაგრამ ვეზირის ქება სავალ-  
დებულო არ იყო, როცა წიგნი აბუ ალ-ჭათჭს მიერთვა. გვაუქრებს ვე-  
ზირის ქების მთელი შინაარსი და განსაკუთრებით ასეთი ბაითი:

اگر او نیستی مرا خریدار

نبودی شاعری راهیج مقدار<sup>40</sup>

„ჩვენი მუშტარი ის რომ არ იყოს,  
მელექსეობას არავითარი ფასი არ ექნებოდა“.

თითქოს შეიძლებოდა ისიც გვეუქრა, რომ ჭახრ ალ-დნის ნესბის  
(گرگانی — გორგანი) ტრადიციულად არაბიზირებული ფორმა جرجانی  
ჯორჯანი არაბული თუ არაბულისთვის პრიორიტეტის მიმნიჭებელი  
წრის ნაყოფი ყოფილიყო).

მაგრამ თეიმურაზ I-ის ცნობა რამდენად სანდოა, ჩვენ არ ვიცით.  
საერთოდ მის ეტყობა, რომ პოემის ქართული თარგმანის აშკარად დე-  
ფორმირებულ შესავალს უნდა ეყრდნობოდეს. ამ უკანასკნელის მიხედ-  
ვით კი, მაგალითად, გორგანის შეკვეთას აძლევს არა აბუ ალ-ჭათჭი, არა-  
მედ იბდალ-მელიქ ვეზირი ანუ იბდალ-მელიქ აბუნასრი. თეიმურაზი ამ  
აბუ-ნასრს იხსენიებს როგორც ბაღდადის ხალიფას, რაც სრული გაუგებ-  
რობის შედეგია. ამდენად, თეიმურაზ პირველის ზოგი ცნობა, მეტი რომ  
არა ვთქვათ, საექვო წყაროებს ეუუქნება. ამავე დროს, არ უნდა დავი-  
ვიწყოთ კ. გრაფის მიერ პოემის დათარიღება<sup>41</sup>: აქ დეტალურადაა აღწე-  
რილი ფოლრულ-ბეგის ყველა ომი, ჩამოთვლილია მის მიერ დაპყრობი-  
ლი ქვეყნები, მაგრამ არაფერია თქმული მის მიერ ბაღდადის აღებაზე,  
რომელიც 1055 წ. მოხდა და რითაც ამ სელჩუკთა სულთანმა თავისი  
სახელი ასე აღაზევა. ბუნებრივია, ბაღდადის აღების შემდეგ მიმატებული  
ტიტულებითაც არაა ფოლრული აქ მოხსენიებული. პოემა 1055 წლამდე  
რომ არ იყოს დასრულებული, შეუძლებელია, ჭახრ ალ-დნის ეს მოვლენა  
გამოეტოვებინა. შეიძლება, თეიმურაზ პირველის ცნობის ბასრელ ი  
ვეზირის სახელში ნახმარი სიტყვის ნასრის ხელნაწერში დამახინჯების  
შედეგად იყოს მიღებული. ასე რომ ჭახრ ალ-დნის მიუჩნევლობა კას-  
პის ზღვის მონაპირე პროვინცია გორგანიდან და მისი დასავლეთ ან  
სამხრეთ-დასავლეთ ირანიდან წარმომდგარად წარმოსახვა მარტო თეიმურაზ  
პირველის ცნობით საფუძველს მოკლებულ ჩანს. არაა გამორიცხული,  
შემდეგ გადასულიყო ის ბასრაში, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს დასკვნა მარტო  
თეიმურაზ პირველის ცნობით არ გაკეთდება.

<sup>40</sup> 28. 17 وسو را این

<sup>41</sup> K. H. Graf, Wis und Ramīn. in: Zeitschrift der deutschen morgen-  
ländischen Gesellschaft. Leipzig, 1869, XXIII, 336.

ამ ხორასნელ კაცს ისპაანში მოთხოვეს ვისისა და რამინის ამბის შესახებ ინფორმაცია. თითქოს უჩვეულო აქ არაფერია. მაგრამ საქმეს ართულებს პოემაში ნახმარი გამოთქმები, რომლის მიხედვით ასე ჩანს, ვისისა და რამინის ამბავი სწორედ ისპაანის მხარეში ყოფილა პოპულარული. აბუ ალ-ჟათჰი აცხადებს: ის ამ მხარეში ყველას უყვარსო. თავად აბუ ალ-ჟათჰი ჩამოსული კაცი იყო, შეიძლება, ვიფიქროთ, რომ სხვაგან მას არც გაეგონა ამ რომანზე რაიმე, რადგან სხვაგან ის არ ყოფილა ცნობილი; ისპაანში კი ის ცნობილი ყოფილა და აბუ ალ-ჟათჰიც, ბუნებრივია, დაინტერესებულა მითი.

მაგრამ საიდან უნდა ცოდნოდა, კვითხულობთ ერთხელ კიდევ, ჭახრ ალ-დინს ეს ამბავი? აქ ორი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას:

1) აბუ ალ-ჟათჰი, რგორც ამას ჭახრ ალ-დინ ვორგანი გვამცნობს, ფოლრულმა ბაღდადზე ვალაშქერის წინ დანიშნა ისპაანის მმართველად, მათი დიალოგი კი ეტყობა მისი დანიშვნის ორი თვის შემდეგ გაიმართა:

بدو ماه آن ولایت را چنان کرد  
که کس باور نکرادی کاین توان کرد (۲۵، ۴۳)

„ორ თვეში ისე აქცია ის ველჯათი,

რომ კაცს არ სჯეროდა, თუ ამის გაკეთება შეიძლებოდა“.

ხოლო თავად პოეტს, არაა გამორიცხული, მეტი ხანი ეცხოვროს ისპაანის მხარეში. შეიძლება, ის 1044 წ. ჩამოჰყვა აქ ფოლრულის არმიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, როცა ამ უკანასკნელმა ისპაანი აიღო და მერე აქ ჩარჩა. ყოველ შემთხვევაში, შვიდი თვე რომ ის ფეხმოუცვლელად ისპაანში ცხოვრობდა, ამას თავად გვიდასტურებს:

زبنگ طبل و بوق مزده خوران  
نخفتم هفت ماه اندر صفاهان (۱۴، ۸۸)

„სასიხარულო ტაბლისა და ბუკის ხმისაგან  
შვიდი თვე არ მიძინია ისპაანში“.

შვიდი თვე უკვე სახელმძღვანელო პოეტისათვის საკმარისი იყო, რომ მას შეეძლებოდა ახალჩამოსული კაცის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა ამ მხარეში ასე პოპულარული წიგნის შესახებ, მით უმეტეს, რომ შეიძლებოდა ეს დიალოგი უფრო ადრეც შემდგარიყო, აბუ ალ-ჟათჰის ისპაანის მმართველად დანიშვნის პირველსავე დღეებში.

2) ვისისა და რამინის ამბის გავრცელების არედ მხოლოდ ისპაანის მხარის მიჩნევა, შეიძლება, გაუგებრობის შედეგიც იყოს. პოემაში ნახმარია გამოთქმები: در بن کشور მაგრამ ისინი როდი ნიშნავს

მხოლოდ პროვინციას, მხარეს, კუთხეს. ამ ტერმინებში უპირველეს ყოვლისა მთელი ირანი უნდა ვიგულისხმოთ. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს كشور-ის ვარიანტული წაკითხვანი კალკუტურსა და ოქსფორდულ ნუსხებში: گیتی ('ქვეყანა, სამყარო'), რისი გათვალისწინებით გამოდის, რომ ვისისა და რამინის ამბავი მთელს ქვეყანაზე თუ არა, მთელს ირანში მაინც ყოფილა ცნობილი. აბუ ალ-ჰათჰი საერთოდ ეძებდა ამ ამბის მცოდნე პოეტს და მოხდა ისე, რომ მხოლოდ აქ, ისპაანში, მიაღწია მან მიზანს, გორგანის, რომელმაც ის იცოდა. თითქოს ერთგვარად საექვოა ერთი რამ: თუ ეს რომანი მთელს ირანში ყველასთვის იყო ცნობილი, როგორ მოხდა, რომ, ნასერ ხოსროვის დახასიათებით, ასე განათლებული კაცი, როგორც აბუ ალ-ჰათჰი იყო, დარჩენილა მისი უცოდინარი. მაგრამ, რადგან ჩვენი აზრით, პოეტი აშკარად გვეუწება, რომ მან სპარსულ ენაზე შექმნილი ვერსია გალექსა, ეს ეჭვი უსაფუძვლო ხდება.

არ უნდა დაგვავიწყოს გორგანის ორმა ცნობამ: 1. ვისისა და რამინის ამბავი ფალაურია (۲۸, ۳۳ وليکن پهلوی باشد زبان) „მაგრამ ფალაურია მისი ენა“. 2. ვისისა და რამინის ეს ამბავი ძველმა მწერლებმა თქვეს და სპარსულის ცოდნაში უნარი გამოიჩინესო (۲۹, ۵۰). აქ წინააღმდეგობა როდი გვაქვს. პირველი ცნობა იმაზე უთითებს, რომ ვისისა და რამინის ამბავი ფალაურია წარმოშობით, ეს ფალაური დედანი ჰახრ ალ-დინის დრომდე ყოფილა შემონახული, მაგრამ ფალაური ყველამ აღარ იცის და ამიტომ წაკითხვით შეიძლება წაიკითხონ (კითხვა ადვილია), მაგრამ გაგებით ყველა ვერ გაიგებს. მეორე ცნობით, ეს ფალაური ვერსია გორგანზე აღრე ახალ სპარსულ ენაზე უთარგმნიათ. მისგან ერთი ამბავი შეუკრავთ. გორგანი ამ სპარსულ ვერსიას იმას უჩივის, რომ: „მასში ყოველი დროის (ვარიანტით: ადგილის) ენა [არის], აზრისა და იგავის მისაცემად თავი არ შეიწუხეს და ამ ორი რამით არ შეამკეს ისო“ (۲۹, ۵۲—۵۳) ხოლო თავის ფუნქციას პოეტი გარკვევით ასე ჩამოაყალიბებს: „როგორც შევძლებ, ისე ვიტყვი და იმ უაზრო სიტყვებისაგან გავრეცხავ, რადგან ის სიტყვები აღარ იხმარება და დროთა სვლაში [ხმარებიდან] გასულა“ (۲۹, ۵۸—۵۹). ხმარებიდან გასული სიტყვებით გორგანი ფალაურ ლექსიკას გულისხმობს. ისმის საკითხი: რომელ ტექსტში უნდა გამოჩენილიყო ფალაური ლექსიკა არქაულად, ფალაურში თუ ახალ სპარსულში? რა თქმა უნდა, ახალ სპარსულში. ე. ი. ტექსტი, რომელიც გორგანიმ „გარეცხა“ (ე. ი. ფალაური არქაული ლექსიკიდან გაასუფთავა) ახალ სპარსულ ენაზე ფალაურიდან გადმოთარგმნილი ტექსტია.

ასე რომ არა, თავად ფალაურ ძეგლზე რატომ იტყოდა გორგანი: ფალაური განმტკნებლთაა საესე და ახლა მე მინდა ამ სიტყვებისაგან განვწმინდო იგიო.

მივატყვიოთ ჯურადდება ავტორის სხვა ცნობებსაც. იმ ექვს კაცს გორგანი შემკრებს უწოდებს, ხოლო ამ „ძველ ლექსმცოდნეებზე“ ნათქვამია: სპარსულის ცოდნაში დიდი უნარი გამოიჩინეს (ამაოდ ჰკონია, ჩვენი აზრით, ვ. შირინსკის<sup>42</sup>, რომ აქ ირონიითაა ნათქვამი ეს ქება) და ერთი ამბავი შეკრესო (۲۹, ۵۰. بيوستند). რა თქმა უნდა, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ იმ ექვს პირს კოლექტიურად შეეკრიბა და დაეწუშაებინა „ვენს-ო რამინის“ სიუჟეტი, მაგრამ სპარსული ვერსია რამდენიმე კაცს უნდა შეეცნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ჩანს, ვისისა და რამინის სიყვარულის შესახებ ახალ სპარსულ ენაზე ერთმანეთის მეტ-ნაკლებად მსგავსი და ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად დამოკიდებული რამდენიმე რომანი არსებობდა, რადგან გორგანი მათ ავტორებს მრავლობით რიცხვში ასხენებს (სოხანდნან — ‘მელექსეები’). თავის წყაროებს მრავლობით რიცხვში გორგანი ასხენებს ამბის დასაწყისშიც: „დაწერილი ამბები ვიბოვე“ (۲۹, ۴۱), თუმცა მათ ნაწარმოებზე აცხადებს: „ერთი ამბავი (ბოემა) შეკრესო“. არაა გამორიცხული, რომ გვეტონდეს საქმე ერთი ფაბულის გაგლასთან სხვადასხვა პოეტის ხელში.

გვინდა დავსვათ ასეთი საკითხიც: პროზაული იყო თუ ლექსითი ის ახალ სპარსულ ენაზე გადმოთარგმნილი ტექსტი რომანისა, რომელიც გორგანმა გალესა? ჩანს, ის ლექსითი იყო. (დაახლოებით ამავე აზრისაა ი. რიბკა. იხ. Ян Рипка, История персидской и таджикской литературы. Редактор и автор предисловия И. С. Брагинский. М., 1970, გვ. 175—176). გორგანი ახალ სპარსულ ვერსიას, მის წყაროს, იმას როდი უჩივის, რომ რითმა არა აქვსო (ასეთ რამეს უჩივის ის, მაგალითად, ფალაურ ვერსიას. ۲۹, ۳۶—۳۸), არამედ იმას, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში არქაული ლექსიკაა ბევრი და ივავი და აზრი აკლიო. გარდა ამისა, თავისი წყაროს ავტორებს გორგანი „სოხანდნანს“ ს უწოდებს. ეს სიტყვა კი „ვენს-ო რამინში“ მაინც „ლექსის მცოდნეს“, „პოეტს“ ნიშნავს (შდრ. ۲۸, ۴۱—۲۸, ۴۸—۵۳, ۶.) და არა პროზის ოსტატს. თვით სპარსულ ლიტერატურისთვისაც კი გაუგონარი სიმრავლე პოეტური სახეებისა, რაც „ვენს-ო რამინს“ ახასიათებს, ექვს გვიბადებს, მათი ავტორი შეიძლება მართო გორგანი არ იყოს.

და მართლაც, ახალი სპარსული ლიტერატურის ფეხის აღდგმის ხანაში, რომელიც გორგანის უსწრებდა და რომელსაც რუსდამის პლეადა

<sup>42</sup> 88. 19, فخراالدين

ამშვენებდა, არაა მოულოდნელი, ახალ სპარსულ ენაზე გალექსილი ყოფილიყო ფალაურ ენაზე არსებული ეს რომანი. ეს მით უფრო საყარაუდებელია, რომ ამ დროს სწორედ „ფალაურ“ სიუჟეტებს ლექსავდნენ.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთგვარი ლირიკული წიადსვლები „ვენს-ო რამინში“, სადაც გმირის მეტად ზოგადი განცდებია გადმოცემული. ერთგან ასეთი ლირიკული ტირადა რამინისა მთავრდება პოეტის სიტყვებით:

بتهنای سخنهای سرایان

که گویند آن سخن مهر آزمايان (۱.۳, ۲۶۵)

„მარტოობაში ლექსებს გალობდა,  
რომელსაც შეყვარებულები ამბობენ“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვირო რამინს ახასიათებს, როგორც ორძალის დამკვრელს, ძველად კი დამკვრელები პოეტებიც იყვნენ (შრდ. „მგოსანი“ — ქუსანი — „მესაკრავე“). ნეზამის „ხოსროვ-ო შირინში“, სადაც ირანის ისლამადელი ყოფაა ასახული და რომელსაც ფალაური წყაროები ასაზრდოებს, დამკვრელები ნაქნს და ბზრბედი პოეტებად გვევლინებიან და ხოსროვისა და შირინის გრძნობათა გამომხატველ იმპროვიზაციას ქმნიან. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ყოფილიყო რამინი. ამ ეჭვს გვიღრმავებს სხვა გარემოებაც. ჩვენი აზრით, „ვენს-ო რამინის“ გმირთა უმეტესობა საკუთარი სახელით არაა პოემაში გამოყვანილი. موبد (მოვბად) საზოგადო სახელია, იგი ცეცხლთაყვანისმცემელთა ქურუმს აღნიშნავდა, მაგრამ „ვენს-ო რამინში“ ასახულა დრო, როცა უმაღლესი მოვბადი, ანუ უმაღლესი ქურუმი უმაღლესი ადმინისტრაციულ ინსტიტუტად ქცეულა. „ვენს-ო რამინში“ რომ მოვბადი საკუთარი სახელი არაა, ჩანს ზარდის სიტყვებიდანაც, რომლითაც ის მოვბადს მიმართავს: ვიროს ქვეყანაში ერთი ნაწილი შენ ძალად მოვბადს გვეძახისო (۱.۱۷۳ دور موبد گرو هی خوانندگت) პოემის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის, ძიძის, საკუთარი სახელი ჩვენ არ ვიცით, იგი იხსენიება როგორც ديدا (‘დიდა’). რამინის მეგობრის სახელი گوگ ამ გმირის განსაზღვრებაა (ნიშნავს: „კარგის მთქმელი“) და არა საკუთარი სახელი, იგი რამინის კეთილი მრჩეველი იყო და სახელიც ასეთი აქვს შერქმეული. არც چيرو ჩანს საკუთარი სახელი. იგი მისი პარალელური ფორმის შაპრ-ბანჟს (‘დედოფალი’) შემოკლებული სახეობაა. და ბოლოს, თვით რამინ არ გვეჩვენება საკუთარ სახელად. გორგანისეე განმარტებით, რამე ანუ რამინ ნიშნავს კარგს, ხოლო ძველი ლექსიკონები სიტყვა რამეს განმარტავენ როგორც ლეგენდარულ მეჩანგეს, ხოლო ჩვენი პოემის გმირის სახელს მეჩანგეობას უკავშირებენ, რადგან „ის დიდად მომლხენი და დროისტარების მოყვარული იყო“ (ბორჰან-ე ყუთე, გვ. 931). ყველაფერი ეს გვიბიძგებს, გამოვთქვათ ეჭვი: ხომ არ არსებობდა



აღმოსავლეთში სიმღერები (მსგავსად, მაგალითად, მაჯნუნს, ლეჟონს მიწერილი ლექსებისა), რომელთაც რამინს მიაწერდნენ, ხომ არ გამოიყენა იგი გორგანნი და ჩვენს პოემაში ხომ არ ისმის მათი მისუსტებული, შორეული ჰანგები? აღვნიშნავთ რა ამას, არ გვაფიწყდება ი. ს. ბრაგინსკის მიერ გამოთქმული მეტად საინტერესო მოსაზრება უფრო ადრინდელი მოვლენის შესახებ: რამ ავესტას ენაზე მესაქონლეობის მფარველი ღმერთის სახელია, ხოლო ენს—სოფლის თემს ნიშნავს, ამიტომ ამ პოემაში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ღვთაებათა დამეგობრების ძველთაძველი ამბავი ხომ არ შემოგვრჩაო (И. С. Брагинский, О „самой безнравственной“ поэме и ее смысле. сб. Фахриддин Гургани, Вис и Рамин. Перевод С. Липкина. М., 1963, გვ. 16).

